



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 47

6 ო კ ტ ბ ე რ ი 19 1900

№ 47

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაბათს.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერის ქუჩა, № 5. ფოსტის აღრესი: Тифлисъ. Редакція „Кვალი“.

შინაპარსი: საზოგადო მოღვაწის კერძო ცხოვრება ნ. ჟორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბები.—„კვალი“-ს კორესპონდენციები.—პოლიტიკური მიმოხილვა.—ჩვენი საზიოზა.—დაკარგული საუნჯე, ლექსი დ. თომაშვილისა.—ღეჩხუმ-სვანეთის საზოგადოების მიმართ ა. ხაბულიანისა.—გაკვრა-გამოკვრა შინაურისა.—მცირე შენიშვნა განდევილისა.—წერილები რედაქციის მიმართ და განცხადებები.

საზოგადო მოღვაწის კერძო ცხოვრება.



ამას წინეთ ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი: „ასტრახანის ახალგაზდობამ დაუსტვინა არტისტ ბობროვს, როცა ის სცენაზე სათამაშოთ გამოვიდა, დაუსტვინა როგორც ზნეობრივად დაცემულ ადამიანს. მაშინ ბობროვმა მიმართა საზოგადოებას ამ სიტყვებით: „არტისტის კერძო ცხოვრებას საზოგადოება არ უნდა ეხებოდესო“. ამაზე ალაპარაკდა რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა, ზოგი ამტყუნებდა ახალგაზდობის საქციელს და ზოგი კი ამართლებდა. ჩემი აზრით კარგი იქნება „კვალმაც“ გამოთქვას ამის შესახებ თავისი აზრიო“.

მაგრამ არტისტი ხომ საზოგადო საქმის მოსამსახურეა, საზოგადო მოღვაწეა. მაშასადამე აქ წამოყენებული კითხვა შეიძლება გაფართოვდეს ამ ნაირათ: საზოგადო მოღვაწის კერძო ცხოვრება რამდენათ საყურადღებოა საზოგადოებისათვის, ე. ი. საზოგადოებას აქვს თუ არა ზნეობრივ უფლება თავისი მოსამსახურე პირებისაგან მოითხოვოს ასეთი თუ ისეთი ზნეობრივი თვისებები. მეორე მხრით, საზოგადოების მეთაური, ხალხის წინამძღოლნი ზნეობრივად მოვალენი არიან თუ არა თავისი პირადი ცხოვრებით ასეთი თუ ისეთი ზნეობრივი მაგალითი წამოაყენონ. ისინი როგორ უნდა უყურებდნ თავის კერძო ცხოვრებას, ისე როგორც მართლა „კერძოს“, თუ ისეთს, საითკენაც ათასი და ათი ათასის თვალთა მიჩერებული და მრავალთათვის საინტერესოთ არის გადაქცეული.

საზოგადო მოღვაწე, პირველ ყოვლისა, არის ისეთივე ადამიანი, როგორც ყველა დანარჩენი. იშვიათია, დღეს მაინც, ისეთი ადამიანი, რომლის მოქმედება ასე თუ ისე არ ეხებოდეს საზოგადოებას და მის წეს-რიგს არ მორჩილებდეს. როგორც

ი ამ წესს შეანგრევს, მაშინვე მას ხელს სტაცებენ და დამნაშავეს სკამზე დააჯდენენ. იმას განსჯიან არა იმდენათ, რამდენათ მან თავის თავს ვნება ან სარგებლობა მოუტანა, არამედ იმდენათ, რამდენათ სხვა პირი თუ პირნი აზარალა. ცხადია, საზოგადოება იფარავს თავის თავს თავისივე წევრებისაგან და ამით ამ წევრებზედაც ძალას და გავლენას პოულობს. ეს კიდევ ცოტაა, საზოგადოება ცდილობს თავისივე წევრნი განავითაროს, გაწრთუნას, გონებრივით და ზნეობრივით აამაღლოს, რომ თვით საზოგადო ცხოვრება უფრო გონიერათ მოეწყოს. მაშასადამე, კერძო ადამიანის კერძო ცხოვრებაც კი აღარ არის დღეს ისე „კერძო“, როგორც ეს მას ჟამსა შინა იყო. რომელიმე ფეოდალს, რასაკვირველია, შეეძლო თავის შინა ყმებს როგორც სურდა ისე მოჰყოლოდა, გაყიდდა, დააგირავებდა, გაასამართლებდა, ხშირათ სიკვდილითაც დასჯიდა—ყველა ეს მისი „კერძო“ საქმე იყო და ვერც ვერავინ ჩაერეოდა. მაგრამ დღეს არა თუ ეს—უბრალო მოჯამაგირეობაც კი განსაზღვრულ წეს-რიგშია ჩაყენებული. მოტყუება, სიყალბე, ქურდობა, ავაზაკობა და სხ. და სხ. ყველასათვის ერთნაირათ ისჯება და იკიცხება. საზოგადოება ერევა თვით ოჯახურ ურთიერთობაშიაც და საზღვრავს დედმამის, ცოლ-შვილის, დაძმის და სხვათა ერთმანეთთან დამოკიდებულებას. ერთი სიტყვით, თანამედროვე მოქალაქეობის განვითარება არის იმავე დროს განვითარება საზოგადო ზედამხედველობის მოქალაქეთა მოქმედებაზე.

და ახლა ერთი მითხარით, რომელ კერძო პირს შეუძლია თქვას: აი ეს ჩემი საქმეა, სხვას რა ხელი აქვსო? ან სად არის დღეს ისეთი საქმე, რომელიც ორ და მეტ კაცს არ ეხებოდეს? და სადაც ორი და მეტი პირია—იქ კი უთუოთ საზოგადოებაცაა. და თუ ეს ასეა კერძო პირთათვის, რაღა უნდა იყოს საზოგადო მოღვაწისათვის, რომლის თითოეულ ნაბიჯს ასე გულმოდგინეთ უტყვირიან? საზოგადო მოღვაწე ისეთი კაცია, რომელიც საზოგადოების დანარჩენ წევრებზე გონებრივით და ზნეობრივით ამაღლებულია და საერთო საქმეს შებშია. ის მთელი თავისი მოქმედებით ეკუთვნის საზოგადოებას და მისი პირდაპირი გამკითხავი ეს უკანასკნელია. მისი მოქმედება ორ ნაირია: საზოგადო, საზოგადო ცხოვრების შესახები, და კერძო, მისი და მისიანების ყურადსაღები. მაგრამ ეს ორი მხარე მჭიდროთ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, დაკავშირებულია იმით რომ მისი მატარებელი ერთი და იგივე გონების და ზნეობის მფლობელია. თუ კი ის საზოგადოებაში მოძმეთა სიყვარულს ქადაგობს, ხოლო ჩუმათ კი მოძმეს ძირს უთხრის—

განა ის ორპირი არ არის? თუ კი ის საზოგადოებრივ ქურდობას დევნის, ხოლო კერძოთ კი ის ქურდობას ჩადის—განა ის მაინც არ არის? თუ კი ის მწერლობაში ზნეობაზე მართლა მყვირალობს, ხოლო პირადათ კი ათასნაირ უზნეობას ეტრფის—განა ის საზოგადოების გამათახსირებელი არ არის? და აი, საზოგადოებაც მოვალეა ასეთ პირთ კრიკაში უდგეს, ან გაასწოროს და ან თავიდან მოიშოროს. მეტყვიან: იმათგან ისიც კმარა, რომ გვემსახურებიან, მათ კერძო ცოდვებზე აი ეს საქმეში გამოიყიდისო, ე. ი. საზოგადო სარგებელი მისი ცოდვების მონანების გზა და ხილიაო! ეს მომადგინებს იმ ქრისტიანს, რომელმაც პარასკევს ტყვე გაყიდა, ხოლო ხორცი კი არ ჯანა. თუ კი თქვენ სიტყვით ამბობთ ერთს, ხოლო საქმით კი მეორეს—ვინ უნდა გერწმუნოთ, ვისზე უნდა მოიპოვოთ გავლენა? თუ კი თქვენ ხალხს ყველგან და ორიოდ გროშს სხვის სასარგებლოთ იმეტყვით—ვის უნდა აუხვოთ თვალი, ვინ უნდა დააჯეროთ თქვენ სათნოებაში? და განა, ადამიანის გრძობა-გონების ასე გაყოფა, განაწილება შეიძლება? თქვენ ხომ ერთი პირი ხართ, თუ საქმით ორათ გამოდისხართ—აშკარაა ეს არის ორპირობა, და მთელი თქვენი სიყვარული საზოგადო საქმისადმი მხოლოდ ერთი მოხერხებული ფარისევლობა.

ავიღოთ მაგ. არტისტი ბობროვი. ის თავისი ხელოვნური თამაშით მაყურებელში აღძრავს კეთილის სიყვარულს, ბოროტის სიძულვილს, კაცთმოყვარეობას, მაღალზნეობას და სხ. მაგრამ როცა თვითონ ბობროვის საქციელს წარმოიდგენს, წარმოიდგენ თუ როგორ დაარღვია მან ყველა ეს და ლაფში ამოსვარა—განა არ შეგძულდებათ არა. მარტო არტისტი, არამედ ხშირათ თვით ის ხელოვნებაც, რომლის მოსამსახურეს არის? და აი, ის გამოდის და ამბობს: ჩემ შინაურ ამბებთან რა ხელი გაქვთო! მე შემძლია ყოველივე სისაძაგლე ჩავიდინო, მხოლოდ სცენაზე კი მოგწონდეთო. და განა ასეთი პირის მოწონება არ ნიშნავს ყოველივე მისი მოქმედების მოწონებას? როცა იმას თანაუგრძობ ერთ სფერაში, ამით ძალაუვნებურათ ამაგრებ მეორე სფერაშიაც. მაშასადამე ამრავლებ ასეთ პირებს და მით საზოგადო ზნეობას მიწასთან ასწორებ. არა, საზოგადოება მოვალეა გასაჯოს მოღვაწენი და, რა რიგ ნიჭიერი არტისტი გინდა მწერალი იყოს, თავიდან მოიშოროს თუ კი მისი კერძო საქმეები ადამიანის გრძობა-გონებას ათახსირებენ. და ეს ასეც არის მოწინავე ქვეყნებში. აქ დიდუბედურობაა რომელიმე პარტიის მოღვაწის ზნეობრივით გაჩირქიანება, ეს იწვევს დაცემას არა თუ ამ პირისას, არამედ მთელი პარტიის სა-



ხელის გატეხასაც. ამისათვის ყველა პარტია თავის მეთაურისაგან ზნეობრივ სიწმინდეს მოითხოვს და ამას მოითხოვენ ხშირათ თვით პარტიის წევრებისაგანაც კი. და მართლაც, როცა უზნეო კაცი აღიარებს, მე ამ და ამ დასის მიმდევარი ვარ—ეს თვით ამ დასის სახელის გატეხაა. ამიტომაც არის, რომ გერმანიის მუშათა პარტიის პროგრამაში შეტანილია ასეთი მუხლი: „პარტიიდან გამოირიცხება ყველა ის, ვინც ჩაიდენს დიდ დანაშაულობას პარტიის პროგრამის, პრინციპების წინააღმდეგ ან და მოამბქმედებს ისეთ რასმეს, რაც ეწინააღმდეგება პატიოსნებას“. ცხადია, პარტია პრინციპის დარღვევას უფრო მსუბუქათ უყურებს, ვინემ ზნეობის დარღვევას. ევროპაში კერძო და საზოგადო მოღვაწეობა ძლიერ გადაბმულ-გადმობმულია ერთმანეთთან. რამდენი შესანიშნავი კაცი მიწასთან გაასწორა პანამის საქმემ, რამდენი ნიჭიერი მოღვაწე მოიშორა საფრანგეთმა ამ საქმის გამო! და თვით ირლანდიის სახელოვანი მოღვაწის, პარნელის დაცემა, ინგლისის შესანიშნავი შვილის, ჩარლზ დილკის ჩამოქვეითება— შედეგი არ იყო მხოლოდ მათი სრულიად კერძო ცხოვრებისა? პარნელი, რომელიც ირლანდიის უგვირგვინო მეფეთ ითვლებოდა, იძულებული შეიქმნა პოლიტიკას გასცლოდა. დილკი, რომელიც ასე აღფრთოვანებით აირჩია ხალხმა დებუტატათ, მეორე წელს ისეთივე აღფრთოვანებით გააშავა; და ეს რატომ? იმიტომ რომ მათ არ მოუტევეს ის, რასაც უბრალო მომაკვდავთ ხშირათ უტევენ. და აქ ინგლისელები მართალი იყვენ, მეტის მქონეს მეტი უნდა მოეთხოვებოდეს და ნაკლებისას ნაკლები. საზოგადო მოღვაწის კერძო ცხოვრებას გაცილებით უფრო მკაცრათ უნდა მოეპყრათ, ვინემ კერძო პირის, ვინაიდან ამ უკანასკნელს, როგორც უცნობს, დიდი გავლენა არ აქვს, მის ამბებს ბევრი ვერ გაიგებს და მაშასადამე დიდ ზიანსაც ვერ მოიტანს. სამაგიეროთ, სულ სხვაა პირველი, მას ყველა იცნობს, მისი სახელი ყველას გაუგონია, მისი მოღვაწეობა ყველას აინტერესებს და მაშასადამე მისი ერთი შეცდომა ყველას აალაპარაკებს. მისი ცუდი საქციელი ბევრს კიდევაც წახალისებს, ის თუ ამას შერება, მერაღა მიჭირსო და ასე უზნეობა მოღვაწის ხდება საზოგადო უზნეობათ...

ამ გვართ, სისპეტაკე საზოგადო მოღვაწეობის დამოკიდებულება თვით მოღვაწის სისპეტაკეზე, ზნე მალალი მოღვაწე ცოცხალი ლამპარია საზოგადო ზნეობის და მუყაითია საზოგადო საქმის. ამისათვის, საზოგადოება და ჟურნალ-გაზეთობა უნდა ცდილობდეს მოღვაწეთა საქციელის მხილებას და მით მათ გაწრთენას დამოღვაწეობის გა-

წმენდას. ამ აზრის მწერლობაში დამყარება გააფრთხილებს მომავალ მოღვაწეთ და გააპატიოსნებს საზოგადო ურთიერთობას. აი რას წერდა „დროება“ ამის შესახებ:

„გაზეთს ყოველთვის აქვს უფლება და არა თუ უფლება, მოვალეობაც, შეეხოს კერძო ცხოვრებას იმ პირისას, რომელიც საზოგადო ასპარეზზე გამოდის, რომელსაც რაიმე საზოგადო მნიშვნელობის მქონებელი თანამდებობა ან საქმე უკისრნია, ან სურს იკისროს. ვინც „დროებას“ კერძო პიროვნების შეხებას აბრალებს, ნეტავი ასვა-დასვა და ერთი კვირით დასვა, ამორჩევების ან კენჭის ყრის დროთ, სხვაგან სადმე ისეთს ქვეყანაში, სადაც სხვა-და-სხვა საზოგადო თანამდებობის პირებს საზოგადოება ირჩევს. საფუძველი აქვს ამ ქვეყნების ხალხს, როდესაც ამბობენ, რომ ყოველი კაცი, რომელსაც სურს რომელსამე საზოგადო ასპარეზზე გამოვიდეს კერძო ცხოვრებაშიაც უბიწო და წმინდა იყოსო; თუ კაცი თავის კერძო ცხოვრებაში ჩირქიანია, უპატიოსნოა და დაუნდობელი, საზოგადო ასპარეზზე რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ იმისაგანაო? თუ კაცს თავისი კერძო ცხოვრება ვერ მოუთავსებია რიგიანათ, თუ ის კერძო ცხოვრებაში ცუდი ქმარია, ცუდი მამა, საზოგადოთ ცუდი ყოფა-ქცევის კაცია, განა საზოგადო საქმეში, საქვეყნო ასპარეზზედაც არ დაანდება ეს ცუდი კაცობაო? და ამ აზრის დავარათაც იქცევინ: როდესაც ვანმე საზოგადო ასპარეზზე გამოსვლის სურვილს აცხადებს, გაზეთებში იმ წამსვე დაწვრილებით ბიოგრაფია ანუ ცხოვრების აღწერა იბეჭდება ამ კაცისა, საქვეყნოთ აცხადებენ, ამ კაცს ესა და ეს მშობლები ჰყავდაო, თვითონ იმან ამა და ამ დროს ესა და ეს ცუდი ან კარგი საქმე ჩაიდინაო, ეს მეგობრები ჰყავს და ნაცნობებიო, ამა და ამ დროს ეს სთქვა და ეს დაწერაო და სხ. და სხ. ერთი სიტყვით სულ უბრალო, წვრილმან გარემოებასაც არ გაუშვებენ იმის ცხოვრებიდან საქვეყნოთ რომ არ გამოაცხადონ. ამ ნაირათ, ხალხი ტყობილობს ვინ უნდა აირჩიოს იმან თავის წარმომადგენელათ, ვინ უნდა გააშავოს, ვინ უნდა გაათეთროს.“ (1874 წ. № 34; წერილი ს. მესხის).

და აი, ეს შეხედულება საზოგადო მოღვაწეზე ჩვენს მწერლობაში „დროებასთან“ ერთათ დაეცა. ახლა დრო არის, ის ხელ-ახლა აღდგენილ იქმნას და მოღვაწეობის ლამპრათ წამოყენებული!..

ნ. ჟორდანი.

სხვა-და-სხვა ამბები

მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ჯანმრთელობის უკანასკნელი ბიულეტენი: ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე კარგათ გაატარა, დღისით ვრა საათამდე ეძინა. საღამოს ტემპერატურა — 36,4, მაჯა 68. ღამე კარგათ ეძინა.“

პეტერბურგიდან ჩამოსულ რკინის გზის რევიზიას ამ ჟამათ 7 მთავარი საჩივარი აქვს განსახილველო და გამოსაძიებელი. საჩივრები წარმოდგება ბაქოს ნავთის ზოგ მწარმოებელთაგან, „სანავოსნო და სავაქრო რუსეთის საზოგადოებისაგან“ და ს.წ. ამ თხოვნების გასარჩევად წამოყენებულია 74 კითხვა, ჯერ მხოლოდ 25 კითხვაა გამოჩვენებული.

მომავალ ხუთშაბათს დანიშნულია ქ. ე. ჩერქეზიშვილის ბენეფისი, ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით. იმედია ქართველი საზოგადოება დაუფასებს ამ ნიჭიერს მსახიობ ქალს.

თფილისის ვაქრებმა ოფიცისის სავაქრო და სამანუფაქტურო კომიტეტს თხოვნით მიმართეს რომ ამ ჟამათ აქ მყოფ რკინის გზათა მთავარ ინსპექტორის გორჩაკოვის წინაშე შუამდგომლობა აღძრას, — თფილისის სადგურზე საქონლის გადატან-გადმოტანის წეს-რიგი გაუმჯობესებულ იქმნეს.

სოხუმის ქალაქის საბჭოს ქალაქის თავათ აურჩევია ბ. აღ. სარაჯიშვილი 18 ხმით წინააღმდეგ 8 ხმისა.

მათავრობას გადაუწყვეტია თფილისში საბებიო ინსტიტუტთან დაარსოს ქალების საფერშლო სკოლა.

ქარ. ღრამატ. საზოგ. გამგეობამ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს უკვე წარუდგინა განცხადება და ითხოვს აღდგენას იმ ზარალისას, რომელიც მას მოუვიდა სათ.-აზნ. ქარვა-სლის მომვლელ კომისიის წყალობით. უეჭველია ეს განცხადება მოხსენდება თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას, რომელიც უნდა მოხდეს 21 ამ თვეს და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, ამ თხოვნას დააკმაყოფილებენ.

მომავალ წელიწადს ქუთაისის გუბერნიაზე გაწერილია 248,593 მ. სახელმწიფო სამიწათ-

მფლობელო გადასახადი და 82,650 მ. ჩვეულებრივი სახელმწიფო გადასახადი. ეს ფული განაწილებულია იმის დაგვრათ თუ ვის რამდენი მიწა აქვს. განსაკუთრებით ის აწვება ტვირთათ თავად-აზნაურობას. ვლცობას კი ნაკლები ერთმევა. საზოგადოათ კი ქუთაისის გუბერნია ამ წესით გადაიხდის იმის ნახევარს, რასაც წინეთ იხდიდა (წინეთ მაგ. წელიწადში 900 ათას მანეთამდის იხდიდა).

თფილისის სამოსამართლო პალატამ 7 დღით დატუსაღება გადაუწყვიტა დაბა საჩხერეში ბოქაულათ ნამყოფს გ. ი. ფიცხელაურს იმის გამო, რომ მან სცემა საჩხერეს მცხოვრებს. მალაქია კაპანაძეს. ფიცხელაური ამ ჟამათ განჯაშია ბოქაულათ.

14 ამ თვეს თფილისში გადაიკვალა სომხების ცნობილი მოღვაწე და ეპისკოპოზი ხორენ სტეფანე (სტეფანიანი), იმან დააარსა სხვა-და-სხვა დროს ორი სომხური ჟურნალი: „სომეხთა ქვეყანა“ და „მასწავლებელთა სასწავლებელი“, რომელნიც გამოდიოდნენ რამდენსამე წელს. გარდა ამისა გადათარგმნა მრავალი წიგნები უცხო ენებიდან სომხურათ, მან დატოვა საქველ-მოქმედო მიზნით 25 ათასი მ. იმ პირობით, რომ ის მოხმარდეს ამ საქმეს მხოლოდ 150 წლის შემდეგ, როცა თავნი 4 მილიონი მან. გახდება.

ქუთაისის საკვირაო სკოლების ნივთიერი მდგომარეობა მეტათ გაქირვებული ყოფილა. მოსალოდნელი იყო ქუთაისის თვით მართველობა დაეხმარებოდა ამ სკოლებს და ფულით შემწეობას მისცემდა, როგორც ამას თფილისის თვით მართველობა შერება, მაგრამ შემწეობა კი არა და, დარბაზიც კი არ უთხოვებია იმისთვის, ვისაც ამ საქმის სასარგებლოთ საღამოს გამართვა ნდომებია. აი ამას ჰქვია ქალაქის მზრუნველობა!

ოზურგეთიდან გვწერენ: დღეს 14 ნოემბერს, დანიშნული იყო „შუამავლის“ ამხანაგობის არა-ჩვეულებრივი კრება, რომელიც არ შედგა და პ დეკემბრისთვის გადაიდგა. მაშინ რამდენი წარმომადგენელიც უნდა დაესწროს-კრება შედგება და კანონიერათ ჩაითვლება.

ეს არა ჩვეულებრივი კრება გამოიწვია იმ გარემოებათ, რომ მმართველი ამხანაგობისა ბ-ნი ჭეიშვილი წინააღმდეგ წარმომადგენლების სურვილისა წასულა მარსელში, თუმცა ზარკი ორ თვეზე მეტი უკვე სხვა ფერმაზეა გაზავნილი საკამისით.

საქართველოს
საგარეო უწყებანი

ჩვენ მივიღეთ შემდეგი ახალი წიგნები: 1) „**მუხათა კითხვა**“, თხზ. ნ. რეპინსბერგისა, თარგ, თ. კიკვაძისა. თარგმანი მსუბუქი და ადვილათ გასაგები ენითაა. შენიშვნებში ახსნილია უცხო სიტყვები. წიგნაკი სუფთათ არის გამოცემული, შეიცავს 67 გვ. და ღირს 15 კ. 2) „**ონსპექტი საქართველოს ისტორიადან**“, შედგენილი ა. ქუთათელაძისაგან. რვეული მეორე. წიგნი შეიცავს 163 გვ. და ღირს შვიდ შაურათ. 3) ტ. მომცელიძის გამოცემა ქართველი მწერლების სურათები. ამისთანავე ალბომი წინეთაც იყო გამოცემული სხვაგან, მაგრამ ეს მეორე გამოცემა უფრო შევსებულია— შეიცავს 30 მწერლის სურათს და ღირს 1 მ. 20 კაპ. შემოსავალი გადაღებულია ერთი მხატვრის გასაზრდელათ.

„კეალის“ კორესპონდენციები

ტ. მოსკოვი. 5 ნოემბერს მოსკოვის ქართველმა სტუდენტებმა გამართეს ჩვეულებრივი „სადამო“. სადამოს განაკება თავადი ად. სუმბათიშვილი (იუჟინი). „სადამო“ სამი განყოფილებიდან შედგებოდა: ლიტერატურულს განაკება ნემიროვიჩ-დანიჩენკო, — ვოკალურს, — ქ-ნი კლიმენტიევა — მურომცევა, და მუსიკალურს, — კოტეშენკო. მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის საუკეთესო ძალებმა, აგრეთვე მოწვეული იყო იტალიანური ოპერის მისხიბი, ბ. განდლოფი. საზოგადოთ მოსკოვში გაუკანონება სადამოებმა, ქართულმა და სომხურმა, — საზოგადოების ყურადღება და სიმშატი დაიმსახურეს. კავკასიური „სადამო“ ერთ საუკეთესო, დიდ სადამოთ ითვლება, ხალხი ბევრი ესწრება და ყოველთვის გამყოფილიც ჩება. ამას ჩემი აზრით სამი მიზეზი აქვს: პირველი ის, რომ მოსკოვის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი საზოგადოთ დიდი თანაგრძობით უყურებს სტუდენტებს; მეორე — ქართულ და სომხურ სადამოებს ქართული და სომხური ნაციონალური ხასიათი აქვს და ამ მხრივ აქაურებისთვის უფრო საინტერესოა, ვიდრე რუსული სადამო, რომელიც ერთი მხრით, კიდევ მოყინებული აქვთ; ჩვენებური სადამოები კი მათთვის რაღაც ახალია, უცხოა, არა ჩვეულებრივი; მესამე — მოსკოველი ქართველი და სომეხი სტუდენტები ცდილობენ, რომ საზოგადოებას, რომელიც იუფს ხარჯავს და ბილეთს ყიდულობს, რომელიც ემხრობა და თანაგრძობს მას, — დააკმაყოფილონ, ცდილობენ, რომ მან რაიმე სიამოვნება მიიღოს. ამგვარი სადამოები სტუდენტებს ძლიერ ძვირათ უჯდებათ. მთელ რთვეს სადამოს გაწეობას უნდებინ, სტუდენტები თავს ანებებენ თავის საქმეებს; ვიდას ახსოვს სწავლა, ლექციები... სულელება მრობობს, დაბობს, არტისტებს დაეძებს, ნებას ღებულობს პოლიციიდან, ხორბს ძებნის, სიმღერებს არჩევს და სხ. და სხ., და უკვდა ეს მხლდოთ იმისთვის, რომ სადამომ კარგათ ჩაიაროს, საზოგადოებას კმაყოფილი დაჩხეს და დაბობს ამხანაგებს ღუკმა-პური არ გაუჭირდეთ. სადამოს

დღე მოახლოვდა, და მუშაობა უფრო მეტათ და — „ვაი თუ წავაგოთ“! ახა, წადი, შეიტყე ბილეთები იეიდება თუ არა, ბიჭო, წადას არ გაგვიჩადებენ ის ობრები თუ რვა საათზე 75 თუმანი არ მივეცი; დავიდუხეთ, ამ-და-ამ არტისტმა უარი გვითხრა, ესა-და-ეს ავთ გამხდა და ვეღარ იმღერებს, ვერ წაიკითხავს“; აი ეს სიტყვება, რომელიც წამ-და-უწამ ისმის სტუდენტებისგან; სულელება დაბობს, არც ძილი, არც მოსვენება, არც რიგზე ჭამა და სმა. ერთი ათი კაცი მოატანიებს ძებნის, ვეგლს, ზურს და უცბათ ზეზე ისადიდებენ. გადამეტებული ამში არაფერი არ არის. მაგალითათ, წელს ერთი სტუდენტი ისე დაიდალა ამ მუშაობაში, რომ სადამოს დღეს წაღამა გული შეუწუნდა და იქვე დაეცა; ცოცხალ-მკვდარი სახლში წაიყვანეს. აი, რა შრომით და ოფლით ღებულობენ აქ სტუდენტები იუფს და დაბობს ამხანაგებს ემხრობინ, და ნუ თუ საზოგადოებრივ არ უნდა იყოს მათთვის, ვინც საზოგადობს ამ იუფლით, რომ შემდეგ, როდესაც იგიინი სწავლას ათავებენ, „სქმეს“ შოულობენ, უზრუნველ-ყოფილ ხდებიან, ავიწყდებათ თავის ძველი ამხანაგები და ნასესხ იუფს არ ინდას?! ნუ თუ მათ არ შეუძლიათ სამ-სამ, ხუთ-ხუთ მანეთობით გადახადონ ამხანაგების ვალი, რომ გადახდილ ვალით კიდევ ვინმე დაბობს სტუდენტი გამოიკვებოს? ნუ დავიწყებთ, გულ-მავიწყობ ვაუბატობობ, რომ როდესაც თქვენ დაბინავებული, უზრუნველყოფილი, კმაყოფილი განცხრომის ეძლევეთ, სხვა-და-სხვა რიგ სიამოვნებით, აქ დაბობს სტუდენტები თავდა-თავ საჭიროებას მოკლებული არიან და ხანდას-ხან შიშობიც. თქვენ მესიერებას მაინც მიმართეთ, იქნებ მან მოგაკონოსთ ზოგიერთი სურათები სტუდენტების გაჭირვებულ ცხოვრებიდან!

მაშატიე, მკითხველო, რომ გზას გადაგუვი: „სადამომ“ ჩინებულათ ჩაიარა. საზოგადოება ალტაცებით ეგებებოდა ყოველ არტისტს და ტაშის ცემით ეთხრობოდა. მეტადრე სალიტერატურო განყოფილებამ გვასახელა. პროგრამაში იუჟინი და სამი-პეტრონო სტენის არტისტი ქ-ნი აბლაჩინი არ იყო მოხსენებული, რადგანაც დიკქცამ ნება არ მისცა, და როდესაც ეს ორი მოულოდნელათ სტენასზე გამოვიდენ, საზოგადოება პირველ წუთში გაოცდა და სულ-განაბული იყო და შემდეგ კი მთელმა წაღამ დაიგრილა. საზოგადოთ, დიდი მატევის-ცემის დინის თვადი სუმბათიშვილი, რომ ისე გულ-მოღვინეთ მოკვიდა ჩვენ სადამოს და ყოველ დინის-ძიებას ხმარობდა, რომ სადამოს კარგათ ჩაეგლო. ხალხი „სადამოს“ ბლობათ დაესწრო, ასე რომ წმინდა შემოსავალი ათას მანეთამდე უნდა ავიდეს, თუმცა ხარჯი ორი ათას მანეთს ადებატება. საზოგადოება მეტათ კმაყოფილი დაჩხა. თვით არტისტები ალტაცებაში იყვენ მოსული სტუდენტების

მანერობით, სტუდენტები თვითთავად არტისტს აცდილებდნენ სახელში მადლობით და ტაშის-ცემით, იგინიცი იძახდნენ: какіе всё вы чудные, студенты грузины!

ვისურვებ, რომ ქართველი სტუდენტები მართლაც „ЧУДНЫЕ“ უფილიყვენ.

Studiosus.

ს. ბოხვაურა (გურია). ეს სოფელი ეკუთვნის დვან-ზუის საზოგადოებას და შეიცავს ას კომლამდე მცხოვრებს. სწავლა-განათლების მხრით იგი სხვა სოფლებს არ ჩამორჩება. საზოგადოთ უკვლავ ბოხვაურელი ახალგაზრდა სწავლას ძლიერ ეწეება. აქ ერთი სამინისტრო სკოლაა, რომელიც მთელ საზოგადოებას ეკუთვნის. აქვე დაარსებულია ადგილობრივი მასწავლებლის ბ. ირ. ღვინტის თანხმობით სასოფლო შემსახველ-გამსესებელი კასრა. მხოლოდ შემდეგი გარემოება აყენებს აქ დიდ აურზაურს: ამ ერთი წლის წინეთ ნება-დართო მთავრობამ, რომ აქაურ სამინისტრო სკოლასთან დაარსებულიყო წიგნთ-საცავ-სამკითხველო, სამკითხველოს დაარსებაზე და ნება-რთვის აღების ცდაში უმთავრესათ წილი უდევთ ბოხვაურელებს, და განსაკუთრებით ბ. ირ. ღვინტს, რომელმაც რამდენჯერმე ადრია შუამდგომლობა იქ, სადაც ჯერ იყო და რომლის უკანასკნელ შუამდგომლობასაც უნაყოფოთ არ ჩაუვლია; ნება დართულ იქნა წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება. მაგრამ, საუბედუროთ, იმის შესახებ, თუ სად დაარსებულიყო იგი, გამართა დღემდის დაუსრულებელი აურზაური და შეჭახება. შეჭახების მიზეზი აი რაში მდგომარეობს: ბოხვაურს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრივ აკრავს სოფელი დვან-ზუ. აქაურებს არა ერთხელ მოუხდომებიათ ბოხვაურში არსებული სამინისტრო სკოლის და სასოფლო სამმართველოს თავის სოფელში გადატანა იმ მოსახრებით, რომ ვითომ ხსენებულ დაწესებულებათა შენობა დვან-ზუს საზოგადოების საზღვარზე იყოს აკებული. რადგან ეს მოსახრება სიამართლეს მოკლებული არის, დვან-ზუელებმა თავის მიზანს ვერ მიაღწიეს და ერთხელ კიდევაც ჩახუმდნენ. ხოლო კასრულ წელს, როცა ბიბლიოთეკა სამკითხველოს დაარსების ნება-რთვა აღებულ იქნა, დვან-ზუელებმა მოინდომეს იმის დასაკუთრება და ამასვე ასტეხეს ერთი-დავიდარბა.—კლასი და კანცელარია ბოხვაურეებისა, ბიბლიოთეკა მანინ საზოგადოების შუა ადგილას გავაგეთოთ — გაიძახდნენ ისინი. ამას 1899 წლის „კვალის“ № 33-ში ვიდაც უნობი დვან-ზუელი კარკისმონღეტიც კი დადადებდა. საუბრადღებო ის არის, რომ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსების ნება-რთვის აღების შემდეგ დვან-ზუელებმა თავი დაანებეს სკოლას და სოფლის სამმართველოს და დაივიწყეს მხოლოდ ბიბლიოთეკის დაარსება დვან-ზუის სოფლის ერთ მიუ-რუებულ კუთხეში. უმჯობესი არ იქნება, რომ იგი სკო-

ლის და სასოფლო სამმართველოს მახლობლად დაარსდეს, სადაც მკითხველს გარემოება უფრო უწყობს ხელს გონებრივი მოთხრობის და იკითხვით დასაზოგადოთ უკვლავან ეკვლესიის, სკოლის და სხვა დაწესებულებათა გვერდით იარსებენ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. არ ვიცი ვისთვის სურთ დაარსონ დვან-ზუელებმა ბიბლიოთეკა, როცა გაიძახის: „იგი მინდობი, განცალკევებულად დაარსდეს. მაგრამ არა, ეს აშკარაა, რომ თუ დმერთმა ხელი მოუშაროთ დვან-ზუელებს და ეს სურვილი შეისრულეს შემდეგ, იმედი აქვთ, დიდი ხნის წადილიც განიხორციელონ; ბოხვაურში არსებული სასოფლო სკოლა, სამმართველო და თან ბანიც თავის სოფელში გადაიტანონ. აი, ამგვარი ვიწრო შემოფარვლული მისწრაფებით ივეგნ და არან განსჯავლენი დვან-ზუელები, რამაც გამოიწვია დღემდის დაუსრულებელი, როგორც ვთქვით, აურზაური და შეჭახება. ამ შეჭახებამ დამის არის სული დასაღვი-ნონს აქაურ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. ვისურვებ, რომ მომავალში მანინ მოსმობილიყო ეს უთავბოლო და უსა-ფუძვლო უსიამოვნობა.

სტუდ. ი. მუჯირი.

ს. სალხინო სოფ. სალხინო შეადგენს სენაკის მაზრის ნაწილს და მდებარეობს სოფ. ხალაღვიდან ჩრდილო-დასავლეთით 10—12 გერსის მანძილზე. ეს სოფ. თავისი მდებარეობითა და ჭვრით წარმოადგენს ერთ უშესანიშნავეს ადგილს მთელ სენაკის მაზრაში.

ის ყოველის მხრიდან დაჭრილდებულა ბუნებისა-გან; როგორც მდებარეობით, ჭვრით, აგრეთვე ზურით, მოსავლით და მცხოვრებთა შენებებებითაც.

როგორც გადმოცემა მოკვითხრობს წარსულ დრო-ში სალხინოს ეჭირა თურმე ზირველი ადგილი მთელ სამეგრელოში და თითქმის იმერეთშიაც

აქაურმა ძველმა ხალხმა მიაშბეს, (სიამოვნებით უნ-და აღვნიშნოთ ისიც, რომ აქ სშირათ შეხვდებით ხოლმე 100, 120 და 130 წლის მოხუცებს) რაც უნდა უკანასკნელი გლეხი ყოფილიყო, თუ ყოველ კვირა-უქმეებში სტუმრობა-წვეულება არ ეყოლებოდა—თავის დამცირებათ თვლიდა, ხოლო უკანათლებულესი დადიანის სასახლეში კი ყოველ დღეს ხადიმი იყო გამართულიო. მართლაც და ამ გადმოცემას ამტკიცებს თვით სოფლის სახელი „სალხინო“, უეჭველია თუ რაიმე შესაფერი მიზეზი არ ყოფილიყო, ისე ამ სახელს ეს სოფელი ვერ მიიღებდა. ამნარათ, დიდებული სტუმრიანობით, უხვი ზირ-ღვინით თუ მცხოვრებთა სიშენიერით, სალხინოს ტოლი არ ჭეჯდა თურმე.

შემდეგ კი ჟამთა ვითარებას შეუცვლია ფერი ხალხისათვის და ახლა ის სალხინო, რომელსეცაღ ზემოთ ვლახანაკობდით, აღარ არის.

სალხინო შეიცავს სულ 450—500 კომლ კაცს, ამათში 15-ოდე ახნაურია გვარათ გეგელები და კუნა-

ლაშვილები. დანარჩენი კი გლეხობას. აქაურ აზნაურებს ჯერ კიდევ საკმაოთ შერჩენიათ მამული, ჯერ კიდევ შეუძლიათ თავისი თავი შემამულეთ აღიარონ, და არც შრომას თავიღობენ.

აგრეთვე საჭიროთ ვთვლი მთავისესიო ისიც, რომ აქაურ მცხოვრებთა შორის ქართული ენა არ არის ისე მტკიცეთ შენახული, როგორც დედა-ენას ეკუთვნის. თითქმის ბევრ ისეთ ოჯახებსაც შეხვდებით, რომ არც კაცსა და არც ქალს, არც დიდსა და არც ზატარას ქართულისა არა გაეგებთარა, მხოლოდ ადგილობრივ აზნაურების ოჯახებში ქართული აგრე რიგათ მივიწიებული არ არის. შებრძანდებით აზნაურის ოჯახში თუ არა, კაცი თუ ქალი, დიდი თუ ზატარა ყველა ქართულათ დაგიწიებთ ლაზარაკს და ეს კი ჩემი წარმოდგენით ყოველი დედა-ენისადმი გულ-შემატკივარი ქართველისათვის სისამოყნო უნდა იყოს.

ახლა გადავიდეთ ისევ გლეხებზე. აქაური გლეხები მეტადინეობის მიხედვით შეიძლება ღვაწაწილოთ სამ დასათ; ზირველ დასს ეკუთვნიან მოვარეები ხე-ტყისა, რომელიც მოსაჭრელათ იჯარით დებულდებენ ქვიბიის მთას, და დამზადებული გააქვთ ხანში და სხვა-დასხვა ხელ-მისაწვდენ ადგილებში. ესენი ამ სამრეწველო დარგში ძლიერ დასელოვებულნი არიან; მეორე დასს ეკუთვნიან მიწის მუშები და მესამეს კი მეჯოგები. ამ უკანასკნელებს ჯოგის საძოვრის მოსაზრებლათ შორს წასვლა არ ჭირდებათ, იქვე სალხინოდან ჩრდილოეთით დიდი მთა „გვიბიას“, სწორეთ ხსენებული მთის კალთა, რომელიც ირბულათ არის გადმოფენილი სალხინოსკენ—ზამთარ-ზაფხულ შემოსილია სხვა-დასხვა ფოთლოვანი ხეებით: შვერით, რწყავით, სურათი და სხვა მცენარეულდებით და აი ეს მთა განსვასთ მასაზრდობელი აქაურა ჯოგებისა.

რაც შეეხება მიწის მუშა გლეხებს—ესენი უმთავრესათ სანადელოთ მუშაობენ უგან-თლებულესი ზრინცესა სადომე დავითის ასულის მამულში, ხოლო რამდენიმე გლეხებთაგანი აზნაურების მამულებში, დალათ იხდიან მოსავლის ნახევარს. აქაური გლეხები მიწა-წყალზე ძლიერ სუსტათ არიან, ამთაგან თითქმის 3/4 დრეებით ვადებულნიან.

ისინი დღეს თავისი ცოდ-შვილით, მიწა-წყლით და დიურა საზრდოთი ცხოვრობენ ბატონის ადგილში და ამ ცხოვრებას ისე მიჩვეულან, რომ დღესაც არ ფიქრობენ განთავისუფლებას, ცალკე გასვლას და დასახლარებას.

მიწაზე ქცევობით იხდიან წლიურ დალას. ქცევაზე წელიწადში 3 მან. აძლევენ ბატონს, აგრეთვე დიონო თუ მოუდისთ, დაწურულ-დამზადებულიდან უნდა მისცენ 1/4 და სხ.

როგორც ზემოთ მთავისესიეთ აქ ხე-ტყე ბევრია,

მაგრამ იმავე დროს ბევრ აქაურ გლეხებს საცხოვრებელი სახლები არ უვარგათ!

აქაური ქალები რაც კი შეიძლება შრომის მოყვარენი არიან, განსაკუთრებით გლეხები. ისინი ქსოვენ შადის ჩოხებს, წინდებს, საცრებს, თევზის საჭურ ბადეებს, ჯაგრისაგან აკეთებენ თოკებს და სხ. ამ ბოლო უამს აბრეშუმის ჭიის მოვლასაც საკმაოთ მიჩვევენ ხელი, თუმცა თუთის ფოთლოდი ნაკლებათ აქვთ, ურომლისოთაც აბრეშუმის გამრავლება შეუძლებელია. დღეს ესენიც მიმხვდარნი არიან, რომ აბრეშუმს არც ერთი დარგი ცხოვრებაში ვერ ჯობია, რის გამოც გულითა და სულით მონდომილნი არიან მის საფუძვლიანათ გაუმჯობესებას. წელს ძლიერ ვარგათ შეისწავლეს აბრეშუმის მოვლა საკვირათ სკოლის საშუალებით, რომელიც ამ წლის ზირველ იანვრიდან მოთავსებულ იქნა სალხინოს სამრეგლო სკოლაში, სოფლის მასწავლებელი ასწავლიდა ხალხს როგორც სკოლაში, აგრეთვე ოჯახებშიც, აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენებას.

აქ დღემდის სწავლა-განათლებას ფენი ვერ მოუკიდა, დღეს კი აქაურებიც მისხვედრათ თვითცხოვრებაში, რომ ამას შემდეგ უსწავლელი კაცი არ ვარგა და, დიდი ენერგიითაც ეწაფებიან სწავლას. აქ არის ორი სასწავლებელი: სამრეგლო, რომელიც ეკუთვნის მრეგლს წმ. გიორგის ეპიკოსისას, და სამინისტრო ორ-კლასიანი, რომელიც ეკუთვნის მთელ სალხინოს საზოგადოებას.

გ. წივწივაძე.

ბოლიტიკური მიმოხილვა


ახლა უნდა განვიხილოთ მთავარი მიზეზი იმის, თუ რატომ ასე გვიანდის ჩინეთ-ევროპიელთა საქმეების განქარ-რიგება. აქამდის ქვეყნას ეკონა, რომ ელჩები ერთსულდობით მოქმედებენ, მხოლოდ ჩინეთის მთავრობა ეუბნებათ. მაგრამ ნამდვილათ კი საქმე სხვაფერ ყოფილა, ჯერ თვით ელჩები ე. ი. უცხო სახელმწიფოთა მთავრობები ვერ შეთანხმებულან და ერთი კვამა ვერ შეუმუშავებიათ. ამ კვირის დეპეშები გვატყობინებენ, რომ შეერთებული შტატების მთავრობა სრული წინააღმდეგია კერმანიის მოთხოვნილებისა, შესახებ ამბახების მეთაურთა სიკვდილით დასჯის და ზოგი ციხე-სამაგრეების დაქცევისა. მაკ-კინლეი ზირდაზირ უარს აცხადებს: ჩინეთის საუკეთესო მამულის შვილთ თავს ვერ მოვკვითო. ამავე აზრის არის იანკინა. ამ ქვეყნის მინისტრ-პრეზიდენტის, იტონს, პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ჩინეთი რამენაირათ დაიხლოვდეს და ერთი რასის ხალხნი კულტურულათაც შეერთდენ. ამისათვის იტონ არ თანუგრძნობს ევროპის ელჩთა წინადადებას ჩინეთის ასაღავმავათ და სხვა-დასხვა საშუალებებს ხმარდის მოლაზარაკების გასაკძელებლათ. ამ ჩაირათ, შეერთებული

შტატები და იახნისა პირდაპირ ეწინააღმდეგეობას წამოყენებულ ზომებს ჩინეთის მეთაურ პირთა დასასჯელათ. შტატების საგარეოსაქმის სტატ-სეკრეტარმა, კეიმ, უკვე მიმართა სახელმწიფოებს ნატივთ და თხვის მათ, ჯერ ჩვენ შორის მოვრიგდეთ. ამასთანავე ის უკმაყოფილებას აცხადებს თავისი ელჩის შესახებ, რომელიც ჰეიანში სხვა ელჩების წინადადებას მიემხრო. ამ რიგით, შტატების ელჩი ვერ ზოგადებს თანაგრძობას თავის მთავრობაში და იძულებული აქნება სამშობლოში დაბრუნდეს. როგორც უკანასკნელი დეპუტატი იუწყება, ელჩები შეთანხმებულან შემდეგ დედა-აზრებში: გადაშინჯულ იქმნას ჩინეთთან შეკრული საჯარო პირბები და დაწესდეს ინტერნაციონალური მეთვალყურეობა ჩინეთის ფინანსებსზე, რომ მით ევროპიელთა ზანჯის გადაღხა უზრუნველ-ყოფილ იქმნას. შეთანხმებაში—გადაწვევით არ არის ნათქვამი ამბობების მეთაურთა სიკვდილით დასჯაზე და სიმაგრეების დაქტევაზე. ასე რომ მოსალოდნელია ეს ორი მუხლი სულ მთავრად და შეამბხეო მსუბუქათ მოეპყნანო. გერმანიის ელჩის მკვლელებს, ენხის, რომელიც კაი ხანია დაპატიმრებულია, უთქვამს: მე ვიყავი ჯანის უფროსი. პრინცმა მიბრძანა 19 ივლისს, ჰეიანის ქუჩები დაბეჭდონ და ევროპიელი თუ გაიფიდა კეისროლა. მეც დავმორჩილდი ჩემ მთავრობას და ქუჩები გავაგავე. 20 ივლისს გამოიარა ევროპიელთა გუნდმა, და რადგანაც მე მხურხებულ აღაგას ვიდექი, თოფი დავუმიხნე და პირველათ ვესროლე. ტყვია მოხვდა გერმანიის ელჩს, რომელმაც რევოლვერის სროლა მოასწრო და იქვე დაეცა. სხვები გაიქტენ. ელჩის გვაში ჩემმა ჯანის კაცებმა აიდეეს და კარგ აღაგას შეინახეს და სხ. ახლა ერთი მითხარით, დამნაშავეა ეს კაცი თუ არა? მის როგორც ჯანის კაცი დამორჩილა თავის მთავრობას და ვალდებულიც იყო დამორჩილებოდა.

ჩვენი სახიობა.

დამობენ: არ არსებობს კარგი და ცუდი პიესა, არსებობს მხოლოდ კარგი და ცუდი არტისტიო. ვისაც იმ მოსაზრების დარღვევა სურდა, ის ხუთშაბათს, 16 ამ თვეს, ქართულ თეატრში უნდა მოსულიყო. ბ. ვ. აბაშიძის საბენეფისოთ წარმოდგენილი „ორი ჯიბგირი“ (ნათარგმნი ფრანგულიდან) და მისი თამაში ნათელ ჰყოფენ იმას, რომ გლახა პიესა შეიძლება კარგათ წარმოდგინონ, მარა მაინც გლახა გამოვიდეს. „ორი ჯიბგირი“ ერთობ საშინლათ გაგძელებულ-გაჭიანურებული ამბავი ანუ ამბავთა გროვია, რომელთა შორის არავითარი ბუნებრივი კავშირი არ არსებობს; აქ ყველაფერი შემთხვევაზე და როგორც რუსები იტყვიან „ცო-

впадение“-ზეა აშენებული. აქ მოვლენათა მიმდინარეობა თუ გაქრობა მიმდინარეობს არა თვით მოქმედების შინაგანი აუცილებელი განვითარებისაგან, არამედ ავტორის უბრალო სურვილისაგან, მე ასე მინდა იყოს და არა ისეო. და ეს მისი „ნდობა“ მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება ბევრი საშინელი ამბები დაგვანახვოს და მით მაყურებელზე შთაბეჭდილება მოახდინოს. მაგრამ პიესა მიზანს ვერ აღწევს. ვერ აღწევს იმიტომ რომ თითქმის პირველ მოქმედებიდანვე გრძნობ აქ რალაც ნაძალადეობას და იგებ იმას რითაც ბოლო მოქმედება უნდა გათავდეს. თავისი შინაარსით ძალიან ჰგავს „ორ ობოლს“, გინდა „პარიჟის ლატაკთ“; აქაც, როგორც იქ, გამოყვანილია მდიდარი და ღარიბები, მათი ერთმანეთთან დამოკიდებულება და განხეთქილება, ხოლო „ორი ჯიბგირის“ ღარიბები ქურდები და მაწანწალები არიან და ამით ჟინს იყრიან მდიდრებზე. ეს მათი ქურდ-ბაცაცობა შეადგენს პიესის კომიზმს. ხოლო მდიდრების ამბები, მათი ცოლ-ქმრული განწყობილება—ტრაგიზმს და აი ეს ტრაგიზმია რალაც ახირებული და ნაძალადევი. აბა გაშინჯეთ, გრაფი ჟორჟ დე-კერლერა (მესხი) მხოლოდ იმის გამო რომ ცოლზე იქვენულობს შურს იძიებს თავის ერთათ ერთ შვილზე, რომელიც, მისი აზრით, მისი შვილი არ არის და თავიდან მოსაცილებლათ აძლევს სახლში შემოპარულ ვიდაც ქურდს და თან ეუბნება: აი ფულები, აი ბავში, დაიკარგეთ ორივე აქედან, თვალით აღარ დამენახვითო. ამას იგებს სრულიად უდანაშაულო ცოლი, ელენე (ეფ. მესხი) და ქვეაზე ცდება, ქმარი მას შორდება და აფრიკაში მიდის სამოგზაუროთ. ჯიბგირი ლიმასი (ვ. აბაშიძე), რომელმაც გრაფის სამი წლის ვაჟი წაიყვანა, ზრდის მას თავის ხელობაში. აი ის უკვე რვა წლის შეიქნა და მართლაც ყოჩალი და მოხერხებული ჯიბგირი გახდა და სახელოთ დაერქვა ფანფანი (ტასო აბაშიძე). ელენე ორ წელს შემდეგ რჩება, გრაფი აფრიკიდან ბრუნდება და ორივე დამგლოვიარებული ერთ ეკლესიის წინ ერთმანეთს შეეყრებიან. გრაფი მივარდება ელენესთან მოტყვევის სათხოვნელათ. ელენე მას ზიზლით უარჰყოფს და ეუბნება: რა უყავი ჩემი შვილიო. ეს ექვსი წელია მას დავეძებ ყოველგან და ვერსად ვერ ვიპოვეო. ამ დროს აქ თავს იყრიან ჯიბგირები და მათ შორის ლიმასი, მისი საყვარელი ზეფირინა (ვახუშია-ცაგარლისა). ფანფანი და სხ. ესენი უთვალ-თვალევენ შეკრებილ ხალხის ჯიბებს, აბა ვის რა ამოვაცალოთო; ფანფანი კიდევაც აცლის ელენეს ერთ დიდ ფულით გატყნილ პორტმანს. და აი, აქ ლიმასი ხე-




დავს გრავს და წინ გამოეჯგიმება: გრაფი, ველარ მცნობთ, დაგავიწყდათ ჩვენი ერთი წუთის მეგობრობა? გრაფი ვერ ცნობს, ლიმასი ეუბნება, არ გახსოვთ შვილი რომ მომეცით აღსაზრდელათ, მე ახლა ის უკვე გაზარდე და „კაცათ“ გამოვიყვანე, ისეთი ჯიბგირია, რომ თვალ-და ხელს შუა გაგქურდაცსო! გრაფი მივარდება ლიმასთან გაზარებული და თხოვს შვილის დაბრუნებას, აძლევს „გასაზრდელ“ ფულს და შემდეგ დიდი დავიდა-რაბებისა ფან-ფანი ბრუნდება დედის სახლში, ქმარიც ცოლის სიწმინდეში რწმუნდება და ასე ამ ქვეყნათ ყოველივე კეთილათ ბოლოვდება.


ეს არ გეგონათ პიესის სრული შინაარსი, ეს არის მხოლოდ კანვა, რომლის მოსაქსოვით ავტორს 25-მდე ქალი და კაცი ჰყავს გამოყვანილი და ქვეყანა გადატრიალებული. შიგა და შიგ ზოგი სცენები მართლაც დრამატიულია. მაგ. დედის შეხვედრა შვილთან, ცოლის ქმართან და სხ. მაგრამ საერთოდ აღებული, პიესა არც დრამაა, არც კომედია, ასეთს ჩვეულებრივად მელოდრამას უწოდებენ, მაგრამ ასეთი ულაზათო და უშნო მელოდრამა მეორე არ მინახავს. ასეთი პიესის სცენაზე დადგმა მაყურებლების დიდი წვალეაა, როცა ამას უყურებ, ასე გგონია რაღაც ლოდი-ქვა დამადვეს კისერზე და ცდილობ მის ჩქარა მოშორებას, ნატრობ, ნეტავი ერთი ჩქარა გათავდეს და შინ წავიდეო. სწორეთ ამიტომ იყო, რომ „ორი ჯიბგირი“ საზოგადოებას სრულიად არ მოეწონა, ხშირათ გაიგონებდით: აი დიდი სისულელე, ეს რა შეუხაბამო ამბებილა და სხ.

რაც შეეხება თამაშს—კაი ხანია ასე შეხამებული თამაში ჩვენ სცენაზე არ გვინახავს. თითქმის ყველამ, თვით მესამე ხარისხოვანმა არტისტმაც კი, შესაფერათ შეასრულა თავისი როლი, ასე რომ ანსამბლი ჩინებული გამოვიდა. მეორე მხრით ზოგმა არტისტმა მართლაც ხელოვნურათ ჩაატარა რამდენიმე ადგილები. ამათ შორის პირველი ადგილი უჭირავს ქალ. ეფ. მესხს; ეს მანდილოსანი სწორეთ დამამშვენებელია ყოველივე სცენის, ერთი მისი გავლა-გამოვლა სცენაზე გაგებინებს, რომ გონიერი და დახედული არტისტი. ის ხშირათ გავიწყებთ სცენას და გადაჰყვებართ თვით ცხოვრებაში, გავიწყებთ არტისტს და თვითწინ გიყენებთ ამ ცხოვრებისაგან დევნილ ადამიანს, რომელიც მრავალ ქარ-ცეცხლში ჩაბმულა, მისი მწუხარება თქვენც გაწუხებს, მისი კვნესა თქვენ გაკვირვებთ და ბოლოს გახსენდებათ, ეს ხომ სცენაა და არა სინამდვილე და მით ცოტაოდნავ მშვიდდებით. და აი, ასე ხელოვნურათ ჩაატარა ქალ. მესხმა ზოგი დრამატიული მო-

მენტები. კარგი იყო აგრეთვე ქ-ნ გაბუნია ცაგარლისა, განსაკუთრებით მეხუთე მოქმედებაში. მან ჩინებულათ დაგვიხატა ლოთი და გარყვნილი დედა-კაცი. ქ. ტასო აბაშიძისათვის ნამდვილი ზედ-გამოჭრილი იყო ფან-ფანის როლი. ცქვიტი, მალხაზი, მოხერხებული პაწია ჯიბგირი—აი ვინ წარმოგვიდგინა მან და წარმოგვიდგინა თითქმის უნაკლულოთ. და თუ ხან-და-ხან ბავშვისათვის არა ჩვეულებრივ ქვეა-გონებას და მეხსიერებას იჩენდა. ეს ავტორის ბრალია და არა არტისტის. ბ. ვ. აბაშიძე ლიმასის როლში და ბ. მესხი გრაფის, მათი ერთმანეთთან შეხვედრა და მუსიაფი—მართლაც მოშიშარ და გამოქნილ ჯიბგირს, დაჯავრიანებულ და სევდით აღსავსე მილიონერს მოგვაგონებდენ. ყველა დანარჩენი არტისტები თავ-თავის ადგილას იყვენ. ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო. თეატრში ტევა აღარ იყო. მოზენფისეს მრავალი საჩუქრები მიართვეს და „ვაშათი“ დააჯილდოვეს.



დაპირბული საუნჯე



ამავალმა მზემ თვისი სხივები უკანასკნელათ შეათამაშა; მთას მოკეთარა და ცის ლაყვარდში დამის მნათობი ააკაშკაშა.


ქვეყნათ დიმილით კადმობიხედა

მან, ვერცხლის ტახტზე აბრძანებულმა, და მის კარშემო ციმციმი იწყო თავ-მოწონებით ვაწკეუვავთ კრებულმა; კავკასიის მთებს, შიდუშუბულებს, აქრას სამხისი გადაეიფის, და იქ, მდელოზე, სანამ სიომ ნოჩხი სათიბი ააბიბისა.

ბადში კაკობ ვარდს—ბუნების ნაზ შვიდს ტურთა გულ-შეკრდი გადაუშადა, ერთიც ჩაჰკონცა და ქვეყნათ მისდო მის საიდუმლო დიადი ძადა.

და იმის ნაზ ბუჩქს ნამი ასხურა; ზედ რომ შენიშნა ვერცხლის მანტია მუის შეარხია, იმ დროს გაისმა გულის მძკერი ის „ტია-ტია“.

ქვესკნელ-ზესკნელი, სმენათ ქვეყლი, კრძალვით ისმენდა იმა ციურ ხმას,



კაცს საიდუმლო ძალით მსჭვალავდა,
 ადიდებდა იმის გულის-თქმას.
 მაგრამ ვინ იყო ამ დროს სულდგმული
 არ სძინებოდა, ფეხზე მდგარიყო,
 და ბუნებისა დიად ფერხულით
 ის, მხიბლული, რომ დამტკბარყო?...
 არავინ! დიად, სწორეთ არავინ!
 არავინ იძროდა ამ ნეტარ დროსა,
 და მიერთამდე შეჭკედლებოდენ
 თავიანთ სადგურ-საბინადროსა.
 მაგრამ ეს რა? ფეხის ხმა ისმის
 იქ, ხშირ ხეებში, სადაც რომ ბნელა,
 ვით ნუკრი მშფლისა შეშინებული,
 მალვით, მობარვით აბიჯებს ნელა.
 ნეტა ვინაა ძილ-დაფრთხობილი?
 მჩვენებსა?... იქნებ ღანდია
 და მატყუარა ცნებისაკან
 ის კაცის სახეთ დანაბადია?..
 მარა... გამოჩნდა აკერ არსებაც
 უელ-მოდერილი, ჩანს კენარ-ტანი,
 წამწამ-თვალ-წარბი, ნაწნავ-გიშერი,
 ბროლ-ფიქალ შკერდი გულის წამტანი!
 ღვას ის მთრთლვარე და ფერ-შემგრთალი,
 მიმობინელა, თვალებს აცეცებს,
 ათვალერებს არე-მიდამოს,
 დაკარგულს რასმე თითქმ დაქებს!..
 ბოლოს წარმოთქვა: „დახ, ეს არის
 რასაც ვეძებდი! — სწორეთ აქ იყო
 და მე ბედგრულმა, სვე-დაკარგულმა
 შენ, ჩემო თავო, ახლა რა გიუო?...
 ის ხომ გამოქრა მე სამუდამოთ!
 ის უკან ვეღარ დამიბრუნდება
 და იმას შემდეგ ჩემ არსებაში
 თვით სიტკბობებაც შესამთ გუბდება!..
 მაგრამ. რას ვამბობ? სიტყვა წამომდნა!
 აბა სადაა მჩვენს მე სიტკბობა,
 როცა წუთიერ ნეტარებაში
 დავლუბე ჩემი უმანკობა!..
 და სად ხარ გველო. თვალთ-საზარელკ!
 წუეულმც არს შენი ტკბილ-სიტყვაობა!
 თვალ-უხილელმა შენგან შევიტყე
 სიტყვის და საქმის სხვა-და-სხვაობა...
 ხომ შემადინე და აკრძალულის

ხისა ნყოფი შემომანარე;
 ბოლოს კი მითხარ: რაებს ჩმასავო,
 რა მმართვეს შენი, რა მამაბარე?!
 დახ, აქ იყო, სწორეთ ამ ხესთან,
 სადაც, წუეულო, სიტყვა გაჩარხე
 და ქაღწულებს იმ მზაკვრულ სიტყვით
 სამარადისოთ მე აქ დავმარხე!..
 დახ, აქ იყო, რომ შენ ალურსში,
 შენთან ხვეწნაში სამსალა ვბოვე
 და ქაღწულებს შეუბლავი
 შენ შემოგწირე და აქ დავტოვე!..
 აქ შეიღახა, შეიერა ჩემი
 ხელ-უხებელი წმიდათა-წმიდა...
 და ოჰ! დადექი, ენავ, დამუნჯდი!
 კმარა იბ ზომი კადნიერება!..
 ვის, ვის აუგედრი; უმანკო ვიყავ,
 აქ მოვბოვე მანკიერება?!
 განა მას ესმის ჩემი წუხილი?!
 იცნობს ის ჩემი გულის იარებს?
 ის და ანუ სხვა?... ამ ჩემ სიტყვილებს
 ქვეყნათ ვერავინ გაიზიარებს!..
 და ან ვის ვუთხრა, ვის გავუმიღვანო
 მე საიდუმლო ჩემი გულის?...
 ვის, ვის შევტირო მე დაბრუნება
 ჩემი საუნჯის დაკარგულისა?!
 და ანუ განა შეიძლება ეს
 გინდა აწმეოში, გინდ მომავალში?...
 არა! აროდეს! — და ზიზღის ბუდეთ
 გადავიქცი მე ქვეყნის თვალში!..
 ქირდვით და კიცხვით, სამსხარათ
 სასხენებელი ქვეყნის საგანი
 ჩვენში ქალია, ნამუს-მსობილი
 და დღეს ხომ მეც ვარ ამ გვართავანი!..
 სადაა გამოვეო ბეჩავმა თავი?
 უველს მე შეიცხავს, ასე მგონია,
 მით უფრო, რომა ქირდვა ჩემ გვართავ
 მეც ქვეყნათ ხშირათ გამოგონია!..
 მაშ, ჯობს დასრულდეს აწ სინანული,
 ვერ დამიმშვიდებს რაკი წელულებს!
 ვიცი, ცრემლის ღვრა კაცთა წინაშე
 ვერ დამიბრუნებს მე ქაღწულებს!..
 და დეე, მეც იქ დავლიო დღენი,
 სად ქაღწულებს დამაკარგვინეს,

სადაც დადუბით ჩემის სახეჯის
 ეკლის გვირგვინით დამაგვირგვინეს!..
 მაშინ ხომ ვეღარ ვისმენ შწარ სიტყვებს!
 აჰა, ცდამიდი ეგას ასუელი
 ებ უბერისწყლო, ფარდა-ახდილი,
 უნამუსობით წრეს გადასული!..“
 ეს თქვა თუ არა, დახრილ ხის ტოტზე
 თუკი შეტყობინა დაუფიქრებელი,
 ჩამოკვიდა... და თქვენ განსაჯეთ,
 ეს მან ნებით ჰქნა, ან თუ უნებლივ!
 არ ვიცი; მხოლოდ, ჩვეულებრივად,
 გაშლილი ვარდი გუნდრუკსა ჰფენდა
 და, მოხიბლული მისი შეუბებით,
 დამის მგახსნი მას თავს დასტვენდა,
 სიო კვლავ ჰქრდა, თითქო ბუჩქებსა
 ასაუბრებდა ის რადაცაზე,
 ვარსკვლავთ კრებულად სსიგებს აფრქვევდა
 და მთვარეც ღაღათ ცურავდა ცაზე!..

დ. თომაშვილი

ლენინ-სვანეთის საზოგადოების საყურადღებოთ.

ითქმის საუკუნე თავდება მას შემდეგ, რაც
 საქართველო სხვა მრავალ წარმატებათა შორის სწავ-
 ვლა-განათლების მხრითაც დაადგა ახალ გზას; რა
 თქმა უნდა, როგორც მოსალოდნელიც იყო, ამ
 გზამ უპირველესათ ქალაქებში იჩინა თავი. ის ქალა-
 ქებიდან ნელ-ნელა გადავიდა ახლო-მახლო დაბა-სო-
 ფლებში და იქიდან სხვა დაშორებულ კუთხეებშიაც
 ამოჰყო თავი. ხალხმა ის აუცილებელ საჭიროთ
 იცნო, თავის ცხოვრების მსვლელობაში საუკეთესო
 იარაღთ და ისიც დაეწაფა მას, როგორც უკვდა-
 ვების წყაროს. ბევრი ქალაქებზე დაშორებული
 კუთხეები კიდევ მიუახლოვდა ზოგიერთ განათლე-
 ბულ ქვეყანათა ნაწილს. მაგალითისათვის არც
 გვჭირდება შორის წასვლა, ავიღოთ სხვათა შორის გუ-
 რია. რას წარმოადგენდა გურია ამ რამდენიმე ათი
 წლის წინეთ? ამაზე პასუხის გება საჭირო არ არის,
 რადგანაც მისი ისტორია ყველამ ვიცით. მაგრამ
 ზოგი კი ისეთ წნაირათ ჩამორჩენ გურიასაც და
 სხვა ქვეყნების საერთო წინსვლას, რომ კუს ნაბი-
 ჯითაც ვერ მისდევენ ამ დაწინაურებულ კუთხეებს.
 აი, ამის მაგალითს წარმოადგენს ლენინუმის მაზრა,
 ე. ი. თვით ლენინუმი და სვანეთიც. ყველას მოე-
 ხსენება, რომ დღეს ლენინ-სვანეთის უმთავრესი

საადებ-მიცემო ალაგი დ. ცაგერია, რომელსაც
 მომავალში გაქალაქებაც კი მოელის; ამიტომ იგი
 ვალდებულია ყოველი საკეთილო საქმის მაგალითი
 იყვეს გარშემო მდებარე სოფლებისათვის, ხოლო,
 რომ მას შეეძლოს თავის დანიშნულების ასრულე-
 ბა, იქ უნდა სუფევდეს ყველა თანამედროვე საზო-
 გადო სასარგებლო დაწესებულებანი. და რადგანაც
 ნათქვამია, რომ ქვეყანა ერთ დღეს არ აშენებუ-
 ლაო, ამიტომ მივმართავ პატივცემულ ლენინ-
 სვანეთის საზოგადოებას, და გავახსენებ, რომ თუმცა
 იმათ ჯერ-ჯერობით ბევრი რამე აკლიათ, მაგრამ
 ამ თავით ყველაზე მეტ აუცილებელ საჭიროებას
 შეადგენს დ. ცაგერში წიგნთ-საცავ-სამკითხველოს
 დაარსება, რაიც არც იმდენ შრომას მოითხოვს,
 რომ ამაზე ცდა საძნელო იყვეს. და აი როგორ:
 უნდა აირჩიონ თავის შორის ერთი ან ორი
 პატივცემული პირი. ხოლო ამ პირებმა უნდა მი-
 მართონ თხოვნით ყველა იმათ ვისაც კი გული
 ტკივთ ჩვენი ქვეყნის სვე-ბედისთვის და თხოვონ
 რომ რაიმე წვლილი თუ ფულით, თუ წიგნებით,
 თუ სხვა რაიმე შემწეობა გაიმეტონ დ. ცაგერში
 განზრახულ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგე-
 ბლოთ, რომელიც უნდა გაგზავნოს ამ სა-
 ქმისათვის არჩეულ პირთ. ამავე მიზნით, კარგი
 იქნება, რომ გაიმართოს ხოლმე წარმოდგენები,
 კონცერტები და სხვა და სხვა, გარდა ცაგერისა,
 სხვა სოფლებშიაც და როდესაც შეგროვდება სა-
 კმაო თანხა, მაშინ შესაძლებელიც იქნება წიგნთ-
 საცავ-სამკითხველოს დაარსება. და აი, ამნაირათ
 ერთხელაც იქნება მოვესწრებით დ. ცაგერში წიგნთ-
 საცავ-სამკითხველოს. შემდეგ ამისა, ამავე გზით ან
 სხვა რამე საშუალებით და მთავრობის დახმარები-
 თაც, აღნიშნული საზოგადოება დაიარსებს სხვა-
 და-სხვა დაწესებულებათაც და ადრე იქნება თუ
 გვიან, შესაძლებელი იქნება ითქვას, რომ ეს ოდე-
 სმე დაქვეითებული და ჩამორჩენილი ალაგიც და-
 ადგა წინ-სვლის გზას და ბედნიერი მომავალიც
 მოელისო. რომ დასაწყისი მიეცეს ამ საქმეს ჩემი
 მხრით ვდებ ხუთ მანეთს და შემდეგშიაც ვეცდები
 ცდა და შემწეობა არ მოვაკლო.*)

ქიათურა.

ა. ხაბულიანი.

გაკვრა-გამოკვრა

სწორეთ საოცარ გაზეთათ გადაიქცა ეს ჩვენი
 მოხუცებული „ივერია“. ჯერ იყო და მარქსისტებს

*) ჩემგან გადადებულ ხუთ მანეთს, როგორც კი ამო-
 ირჩევს ხსენებული საზოგადოება რომელსაზე პირს, იმას გა-
 დავცემ.

საქართველო

დაუთმო თავისი ფურცლები ვითომ და მარქსის მოძღვრების სიწმინდის დასაცველათ. ამათაც ალიაქოთი ააყენეს ერთ უბრალო საკითხზე, რომლის თავი და ბოლო სრულებით ვერ გაეგოთ. ამ „ივერიის“ „მარქსისტებმა“ შეთხზეს ისეთი მოწინააღმდეგე, რომელიც არასოდეს არ არსებობდა და მისი აზრის დარღვევას შეალიეს მთელი თავისი ძალ-ღონე.¹⁾ მაგრამ მას კიდევ გავუძღვებდით, მიზანი მაინც კარგი ჰქონდათ და ესეც საკმარისი იყო „ივერიელებისაგან“. მაგრამ „ივერია“ აბა რის „ივერია“ იქნებოდა, რომ მას თავის ფურცლები არ დაეთმო სრულიად სხვა წერილებსათვის, რომელთა ერთ-ერთი მიზანია უშვერი სიტყვა-პასუხით დაამციროს და ტალახში მოსვაროს იგივე მარქსი, რომლის დაცვას ასე გულმოდგინეთ კისრულობდნენ მისი თანამშრომლები. ევროპას ასე თუ ისე ცნობილი მოღვაწე, ჩვენი აზრით, პატივისცემით მოპყრობას მოითხოვს ყოველი ადამიანისაგან ასე ეპყრობიან ასეთ კაცს თვით ევროპაში და ჩვენ რა უფლება გვაქვს მისი უწმაწურათ შეხების და უზღველათ შელახვის? შეგიძლიათ თქვენ მოღვაწეს, თქვენ თავს როგორც გინდათ ისე შეეხოთ, თუმცა აქაც სავალდებულოა სალიტერატურო სიფაქიზე და სიწმინდე, მაგრამ როცა უცხო ერის მოღვაწეს, მოღვაწეს დიდებულს, კაცობრიობისათვის თავდადებულს, უტიფრული კილოთი წაბილწავთ—ერთი მითხარით რა მოქმედებაა ეს თუ არა მოქმედება გზა-დაბნეულთა. თუ შენ ნაციონალურ სამწერლო ეთიკას უარს ჰყოფ—ეს კიდევ შენ და შენმა თანამემამულეებმა იკითხოთ, მაგრამ ვინ მოგანიჭა ის უფლება, რომ საერთაშორისო ლიტერატურული ეთიკაც დაარდვიო და მით უცხო ხალხნი შეურაცყო? და აი, ასეთი საქციელი ჩაიდინა „ივერიამ“ და მისმა კორესპონდენტმა ბ. მარველმა. ეს ვაჭბატონი, თავის ფელეტონების შესავსებათ გადაწვადამოწვდება ისეთ საგნებს, რომელიც სრულებით არ ეკარება წერილების საგანს და ამით ღამობს ქართველ მკითხველებში გაიყვანოს ის, რაც სხვაგან ვერ გაუყვანია. ის წვდება მარქსს, ენგელსს, ბებელს და სხ. და ვინ იცის რა და რა დანაშაულობაში არ ამტყუნებს. ამ წლის „ივერიის“ მე-88 ნომერში მან გამოაცხადა: მარქსს და ენგელსს „შესაზარო ლიტერატურული პლაგიატი, ანუ ქურდობა ჩაუდენიათო“. ან

და „მტკნარ უვიცთა შორის შეიძლება მარველსა ხევეტათ სახელი მეცნიერებისა ამ ვაჭბატონთ (ვითომ მარქსს და ენგელსს!), ამ ფურიეს, კონსიდერანის, ოვენის და ტანჯულ კაცობრიობის სხვა დიდებულ მეგობართა ცილის-მწამებელთ. ქეშმარიტ მეცნიერთა შორის მათი ფასი გახურეტიდი გრამოა“ და სხ. ერთი მითხარით, რა ალაპარაკებს ამ ნაირათ ბ. მარველს? საიდან ჰოპოვია მან ასეთი რიხი და გამბედაობა?

ბ. მარველმა თავის ლანძღვის საბუთათ წარმოადგინა ერთი რაღაც წიგნი, „რომელიც აღრე იქნება თუ გვიან, გზას გაიკვლევს რუსეთისა და ჩვენს ლიტერატურაში“ო. აი ამ წიგნშია ახსნილი და გარკვეული ყველა ის, რასაც აქამდის კაცობრიობამ ვერ მიაგნოვო! დიად, ამ წიგნში, წიგნში კი არა, წიგნაკში, რომელიც 60 გვერდს ძლივს შეიცავს. და აი ამაშია ყოველივეო. ასეთი პამფლეტები ევროპის მუშათა პარტიების წინააღმდეგ, უთვალავი გამოდის ევროპაში და ასე უთვალავათ ლპება თაროებზე შენახული. ბ. მარველს კი უფიქრია, მოდი ისევ ამას საქართველოში გავსაღებო და ევროპიელ მკითხველს თუ ვერ მოვერიე, ქართველს მაინც კი მოვერევიო. და აი, „ივერიის“ კვირის ნომერში (№ 248) გადმოულაგებია ამ წიგნაკადან აზრები, ციფრები და ასე გაშინჯეთ შენიშვნებიც კი. ბ. მარველს აქედან ამოუღია მე-V თავი წოდებული „Superstition fataliste sur la concentration du capital“ (გვ. 22—31) და პირწმინდათ „ივერიაში“ დაუბეჭდია. მერე რას გვეუბნება ეს წერილი? რაო და მარქსის აზრი რომ კაპიტალისტები ეცილებიან ბაზარზე ერთმანეთს და სხვილი წვრილს ამარცხებს ტყუილიაო. ეს რომ ასე იყოს კაპიტალისტები გაწყდებოდნენ და მათ ქონებას რამოდენიმე კაპიტალისტი ჩაიგდებდა ხელშიო. ნამდვილათ კი მათი რიცხვი მატულობს, რაიცა მტკიცდება ციფრებით, მაშასადამე მარქსის კანონი ვერ კანონობს, კაპიტალის კონცენტრაცია არსდებაო. შეეჩერდეთ ცოტა აქ.

ჯ რ გავიგოთ, ბ. მარველს ესმის რას ჰქვია კაპიტალისტი? ჩვენ გადაწყვეტით ვამბობთ, რომ არა და აი საბუთი. მას მოჰყავს რიცხვი გადამხდელ ინგლისელთა 1850 წ. 1880 წლამდე, საიდანაც ვხედავთ, რომ ამ რიცხვს სამჯერ უმატნია. მაშასადამე, სკენის ის, კაპიტალისტთა რიცხვი გამრავლებულა სამჯერო! ახლა ერთი ვიკითხოთ, ამ რიცხვში განა ყველა კაპიტალისტია? კაპიტალისტი ნიშნავს ისეთ კაცს, რომელიც წარმოებაში ფულს აბანდებს, მუშებს ქირაობს, მასალას ყიდულობს და ასე საქონელს ქმნის და ან დამზადებულს ჰყიდის. ხოლო სახელმწიფო გადა-

1) ბ. Poor Georgeson-ი გულმტკივნეულობით აღნიშნავდა „ივერიაში“ (№ 216) რომ „კვალმა“ არ დაიბეჭდა ჩემი წერილიო. არ ვიცი, ამით ავტორს სურს აიხსნას რატომ არ დავბეჭდეთ, თუ უბრალოთ სიტყვის მასალათ მოიყვანა. ხოლო გავახსენებთ კი რომ მიწების დასახელება ვერაფერი სასახლო იქნება მისთვის, და ამიტომ ჯერ ჯერობით ვდუმო.

რედ.

მხედელნია არა მარტო ესენი, არამედ ყოველნაირი ხელობის და პროფესიის ხალხი, რომლის შემოსავალი ინგლისში მაგ. 150 თუმანს აღემატება წელიწადში. აქ არის ექიმი, მასწავლებელი, ადვოკატი, ნოქარი, ტექნიკი, მოხელე, გლეხი, მუშა და სხ. და სხ. და, აი ბ. მარველს ყველა ეს კაპიტალისტებათ მოუწათლავს და რასაკვირველია სოკოსავეთ გამრავლებულა! ამ თავის ციფრში ბოლოს თვითონვე შემოაქვს ექვი და ქვევით მოჰყავს ვითომ და უფრო მტკიცე ცნობა. ამას აუღია მხოლოდ იმათი რიცხვი, ვინც ვაჭრობა-მრეწველობაში მუშაობს და სახელმწიფო გადასახადს იხდის. ესენი კი 1869 წ. ყოფილა 225,319 კაცი. 1899 წ. კი 426,521. და დასძენს, ამ „30 წლის განმავლობაში კაპიტალისტთა რიცხვი თითქმის გაორდაო!“ გამოდის რომ ყველა ამ დარგათ მცხოვრები კაპიტალისტები ყოფილან! მაგრამ ვინ არ იცის, რომ ვაჭრობა-მრეწველობაში გარდა თვითონ პატრონებისა, კაპიტალისტებისა, არიან აგრეთვე მათი დაქირავებული ხალხი, როგორც მაგ. ნოქრები, ტექნიკები, ინჟინერები და სხ. რომელნიც 150 თუმანზე მეტს იღებენ²⁾, მარა კაპიტალისტები კი არ არიან, ესენი მხოლოდ კაპიტალისტთა მოქირავება, როგორც უბრალო მუშები. მუშები ნაკლებს იღებენ, ესენი კი მეტს, ეს არის განსხვავება. და აი, ბ. მარველს ყველა *ეს კაპიტალისტები ჰგონია!

აი მაგ. ტკვარჩელის ქვა-ნახშირის წარმოება ბუცმანს უტვირთნია. ის ჩამოკა, ჩამოიტანს მილიონებს, დაიქირავებს ათასნაირ ხალხს, ზოგს ნაკლებათ და ზოგს მეტათ. აქ გაჩნდება ისეთი პირები რომელნიც წელიწადში ას, ორას და მეტ თუმანს აიღებს ჯამაგირათ. ბ. მარველს რომ კითხო ყველა ეს კაპიტალისტი, ნამდვილათ კი კაპიტალისტი მხოლოდ პატრონი—ბუცმანი, სხვები კი მისი მოჯამაგირაა.

ერთი სიტყვით, ბ. მარველს ჰგონებია ვისაც კი 150 თუმანზე მეტი შემოსავალი აქვს წელიწადში (და ესეც ინგლისში) უთუოთ კაპიტალისტიო! და აი, ასეოი კაცი ასე რიხით ლაპარაკობს მარქსზე და სხვებზე! არა ბატონებო, საქმე ციფრში კი არ არის, არამედ ციფრის ახსნაში და გაგებაში, თვარა ვისაც მილიონამდის დათვლა შეუძლია ყველა სტატისტიკოსი იქნებოდა.

მაშ რას ნიშნავს კაპიტალის კონცენტრაცია? ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ვითომ თუ ღღეს

საქართველოში ათი კაპიტალისტი, გაისათ უთუოთ 5 უნდა იყოს, როგორც ეს ბ. მარველს ჰგონია, არამედ ამას, რომ ნაციონალური სიმდიდრე მცხოვრებთა რიცხვის შედარებით უფრო და უფრო ცოტა პირის ხელში გროვდება. ეს ასე ესმის ყველა მარქსისტს. დასამტკიცებლათ მოვიყვან ბებელს. ის თავის „Die frau“-ში (მე-12 გამოცემა) ამბობს: „საეკონომიო კანონია, რომ ყოველგან მრეწველობის კონცენტრაციასთან და მუშის შრომის განაყოფიერებასთან ერთათ მუშათა რიცხვი კლებულობს, ხოლო სიმდიდრე იკრიბება თანდათან საერთო მცხოვრებთა რიცხვთან შედარებით (prozentual sur gesamtbevolkerung) მცარე რიცხვთა ხელში-ამასთანავე მატულობს რიცხვი ამ პროცესის მსხვერპლთა ე. ი. რიცხვი დამარცხებულ კაპიტალისტთა გაკოტრებისა. მაგ. პრუსიის 8 პროვინციაში რიცხვი მცხოვრებთა 1853—1890 წ. გაიზარდა 42 პროცენტით. იმავე ხნის განმავლობაში შემოსავალი სხვა-და-სხვა წრის ხალხისა ასე განვითარებულა:

შემოსავალი 3000 მარკ. *)	გაიზარდა 42 პროც.
3000—36000	333
36000—60000	590
60000—120000	835
120000—და მეტი	942

„ცხადია, შემოსავალი 3000 მარკამდის გამრავლებულა სწორეთ იმდენათ, რამდენათაც მცხოვრებნი (42%)“. მაგრამ ესეც ამდენი არ იქნებოდა, რომ სხვა-და-სხვა სახელმწიფო თუ კერძო თანამდებობა არ გამრავლებულაყო, საიდანაც ჯამაგირებს ღებულობენ. მეორე მხრით, დიდი შემოსავალი გაიზარდა გაცილებით მეტათ, ვინემ მცხოვრებთა გამრავლება. ამასთანავე იმატა გაკოტრებულ კაპიტალისტთა რიცხვმა მაგ. 1880—1889 წ. სასამართლოს წინ გამოცხადებულ გაკოტრებულთა რიცხვი გერმანიაში იყო 4855 წელიწადში, 1890 წ. კი 5908, 1891 წ. 7234 და 1892 წ. 7358 აქ, რასაკვირველია არ შედიან ისინი, ვინც სასამართლომდის არ მოიყვანა საქმე და თავისი ნებით გაუსწორდა მოვალეებს, რის შედეგი იგივე გაკოტრებაა, არც ისინი, ვისაც სასამართლოს ხარჯის გასტუმრებაც არ შეეძლო. ამ ორ უკანასკნელთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვინემ პირველთა“ (გვ. 301—302).

აი ბატონებო, რას ჰქვია კაპიტალის კონცენტრაცია. მოვიყვან ერთ თვალსაჩინო მაგალითს. ვთქვათ საზოგადოებაში, რომელიც ასი კაცისაგან

²⁾ უნდა ითქვას, რომ 150 თუმანი წლიური შემოსავალ ინგლისში უკიდურესი შემოსავალია, ამაზე ნაკლებს—სიღარიბეს უწოდებენ.

*) მარკა=4 ო კ.



შედგებოდა 1890 წ. იყო ერთი მილიონის სიმ-
 დიდრე და განაწილებულიყო ასე: 90 კაცს შემო-
 დიოდა ათას მანეთამდის თითოს, 5-ს ორიათას-
 ორიათასამდის, სამს ოც-ოც ათასამ; ხოლო
 დანარჩენ ორს 860 ათასი. ვთქვათ წელს მცხოვ-
 რებთა რიცხვი ავიდა 150-მდის, სიმდიდრე ორ მი-
 ლიონამდის და ეს განაწილდა ასე: 20-ს ათასამდის
 თითოს, 100 კაცს ათას ხუთასამდის თითოს, ოცს
 სამ-სამ ათასამ., ხუთს 30—30 ათასამ., ოთხს ორ-
 მოც-ორმოც ათასამ., ხოლო ერთს კი დანარჩენი
 ერთი მილიონი 490 ათასამ. აი ამას ეწოდება სიმ-
 დიდრის კონცენტრაცია. ყოველთვის ერთი კლასის
 სიმდიდრე უნდა შედარდეს მეორე კლასის სიმდიდ-
 რესთან ერთ და იმავე ეპოქაში და აქედან დაინა-
 ხება კონცენტრაციაც.

ბ. მარველი კი ცდილობს თავზე მოახვიოს
 მარქსის ის სულელური აზრი, რომ რაკი დღეს მაგ.
 საქართველოში ათი კაპიტალისტია რამდენიმე ხანს
 მერე ერთი უნდა იყოს! და ამას არღვევს ბ. მარ-
 ველი**).

კმარა, აქ აღარ გამოუდგებოთ მრეწველობის
 კონცენტრაციის მაგალითების მოყვანას, რაიცა არა
 თუ ევროპაში, ჩვენშიაც კი ხდება. (მაგ. ბაქოს
 ნავთის საქმეში) ნათქვამიც საკმარისია დასახასიათე-
 ბელათ ბ. მარველის „შესანიშნავი წიგნისა“ და
 მისი ფელეტონებისა და აგრეთვე „ივერიის“ სა-
 ლიტერატურო ეთიკისა. დეე, მკითხველმა გასა-
 ჯოს.

შინაური.

მ მ ი რ მ შ ი ნ ი შ შ ნ ა

მ. ხ. ქ-ნო რედაქტორა! „კვალის“ მე-43 ნომერში
 მოთავსებულია ქართული თეატრის რეცენზია, რომელ-
 შიაც, სხვათა შორის, მოყვანილია რამდენიმე ალაგი ჩე-
 მი თარგმანისა გრიბოედოვის კომედიის „ფაი ჭკუისა-
 გან“. ნება მიბოძეთ ვაუწყო, როგორც თქვენი ზატე-
 ცემული გაზეთის მკითხველთ, ისე სხვათაც, რომ მე,
 როგორც მთარგმნელი ამ პიესისა, შეტათ გამაცა 19
 თქტომბერს ქართული თეატრის სცენიდან წარმოთქმულმა
 ჩატვის ერთმა მონადეგმა, რომელიც გრიბოედოვის
 კლამს არ ეკუთვნის და შით უშეტეს ვერც მე ჩავიდე-
 დი ისეთ თავსუდობას, რომ ჩემი მხრით რამე ჩამემა-
 ტებინა ამ უკვდავ ნაწარმოებში.

გერ გამოვიან, რათ ისურვეს ნამდვილი თარგმანის
 უარყოფა და არა ნამდვილის შეთხზვა! შესაძლებელია,
 ის მათი „მონადეგი“ უკეთესიც იყო, მაგრამ რაც უნდა
 კარგი იყოს, მე შაინც ნებას არავის მივცემ, რომ სხვი-


სი ჩემთ გასადღოს. და, რადგან თქვენმა გაზეთმა
 ადგილი ჩემ თარგმანთ გამოაქვეყნა, ამიტომ ვთხოვთ
 თქვენსავე გაზეთში დატბეკდეთ ამ მონადეგის დეანბი
 და ჩემი ნამდვილი თარგმანი:

დ ე დ ა ნ ა

ჩატვი. ...Куда дѣваться отъ княжень!
 Я одадь возсылалъ желанья
 Смиренныя, однако вслухъ,
 Чтобъ истребилъ Господь нечистый этотъ духъ
 Пустого, рабскаго, слѣпнаго подражанья.
 Чтобъ искру заранилъ въ комъ нибудь душой,
 Кто могъ бы словомъ иль примѣромъ
 Насъ удержатъ, какъ крѣпкою вожжей,
 Отъ жалкой тошноты по сторонѣ чужой.
 Пускай меня отъявятъ старовѣромъ,
 Но хуже для меня нашъ сѣверъ во сто-кратъ
 Съ тѣхъ поръ, какъ отдалъ все въ обмѣнъ на новый
 И нравы, и языкъ, и старину святую, [ладъ
 И величавую одежду на другую
 По шутовскому образу:
 Хвостъ сзади, спереди какой-то чудный выемъ,
 Разсудку вопреки, наперекоръ стихиямъ;
 Движенья связаны и некраса лицу,
 Смѣшныя, бритые, сѣдые подбородки...
 Какъ платье, волосы, такъ и умы коротки!
 Ахъ, если рождены мы все перенимать
 Хоть у китайцевъ бы намъ нѣсколько занять
 Премудраго у нихъ незнанья иноземцевъ!
 Воскреснемъ ли когда отъ чужевластья моды,
 Чтобъ умный, добрый нашъ народъ,
 Хотя, по языку, насъ не считалъ за нѣмцевъ?

ჩემი თარგმანი

ჩატვი. . .სად დავემალთ თავადის ქალებს!
 მე კი ხმა მალლა ღმერთს ვთხოვდი იმ დროს,
 რომ ჩვენებურებს ეს სულელური
 სხვათა მიბაძვა მოაშლევინოს.
 გაღმოუვლინოს ერთს მაინც ვესმე
 სულის სიმტკიცე სამავალითოდ,
 ვინც ადგივლაგმავს იმ მდაბალ სურვილს,
 რომ ჩვენსას სხვისი არ ვამჯობინოთ.
 დაე, რაც ნებავთ იგი მიწოდონ
 და მე კი ვიტყვი ჩვენი ქვეყანა
 ას წილათ უფრო წახდა მას შემდეგ,
 რაც თავის სახე გამოიცვალა.
 უარ ჰყო თავის ზნე-ჩვეულება,
 ენა მდიდარი და სამოსელი,
 შევბღალა ერის წმიდათა წმიდა
 და გადასცვალა ახალზე ძველი;
 ახალზე, მერე როგორ ახალზე!
 რაც მასხარის მეტს არვის შევფერის:
 უკნიდგან კული, წინ გული ღია.
 არ მოსაწონი არც ღვთის, არც კაცის
 ვეღარ იძვრიან თავის ნებაზე,
 თითქო ხელ-ფეხი რითვე შეუკრავთ;



როგორც კაბა და თმები აქვთ მოკლე,
 ჭკუა გონებაც ისე მოკლე აქვთ.
 ეჭ, თუ ჩვენ მიტომ გავჩნდით ამ ქვეყნათ,
 რომ უცხოთაგან რამ გადმოვიდოთ,
 ჩინელთა სიბრძნეს მივბაძოთ მაინც,
 სხვის არ მიბაძვა მადგან ვისწავლოთ.
 განა თავს ვიხსნით იმ სენისგან,
 რომ სხვათა „მოღებს“ აღარ მივდიოთ,
 და ჩვენ ჭკვიან ხალხს, თუნდ ენით მიინც,
 გადამთიელი აღარ ვეგონათ?

ახლა შეადარეთ ეს სტენაზე წარმოთქმულს „კვალ-
 ში“ დაბეჭდილ ჩანცის მონოლოგს და განსჯეთ.

განდევალი.

P. S. ეს წერილი დაწერილი შექნდა, როცა „რუს.
 ვედომოსტში“ (№ 380) წავიკითხე დიდათ ზატიფცემული
 ზრდოფსერის ა. ხახანაშვილის წერილი ჩემი თარგმანის
 „ვაი ჭკუისაგანის“ შესახებ. მე სრულიად არ მიგვიანს,
 რომ ზატიფცემულ ავტორს სამართლიანი აზრი ვერ შეუ-
 დგენია ამ თარგმანის შესახებ: დამეთანხმებით, თითქმის
 სამი ათას ვერსზე მეოფისათვის ადვილი არ განსჯათ
 კრიტიკის დაწერა მით უმეტეს, როცა საშუალოდ სავანე
 ხელთ არა აქვს, არც მთლიან წაუკითხავს და მხოლოდ
 დამახინჯებულის ნაგლეჯებით სარგებლობს. თუ გი ჩვენ,
 რომელთაც რამდენჯერმე გადავკითხავს ეს თარგმანი და
 უფრო მეტი საშუალება გვქონდა სწიშართლეს არ ავტლე-
 ნოდით, — ვერ შევიძლებით ნამდვილის გაგებას, არ წამკი-
 თხველი ხომ მართლ იმით ისარგებლებდა რაც აქაურმა
 გაზეთებმა მიაწოდეს.¹⁾

განდევალი.

წერილები რედაქციის მიმართ

I.

შენი რედაქტორო! უმოჩინოდ გთხოვთ უკანასკნელათ
 დაუთმოთ ალაგი თქვენ პატრიოტულ გაზეთში ამ ჩემ მცირე
 წერილს: არაგისთვის სასურველი არ არის, როდესაც უბრა-
 ლო საქმეზე, რომელიც არ აინტერესებს მთელ საზოგადოე-
 ბას, დიდი პოლემიკა ატყდება ხოლმე რომელსამე გაზეთში,
 ვერ ერთი, იმიტომ რომ საზოგადოების უმრავლესობას თავს

¹⁾ დიდათ ვწუხვართ, რომ შეცდომაში შეგვიყვანეს.
 მაგრამ ეს სრულებით ჩვენი რეცენზენტის ბრალი არ არის.
 მას სურდა მკითხველისათვის წარმოედგინა რამდენამე ალაგი
 თარგმანისა, როგორც ეს სცენიდან გაიგონა და აბა საიდან
 მოიფიქრებდა რომ ერთი ამ ადგილთაგანი ქ. განდევლის
 თარგმანი არ იქნებოდა. შემდეგ დაბეჭდვისა გავიგეთ სინა-
 მდვილე, მაგრამ გვიან იყო. კარგი იქნებოდა თვითონ ქ.
 განდევლის წარმოდგენის დროსვე ეთქვა გაზეთების წარმომად-
 გენელთათვის, ეს და ეს მონოლოგი ჩემი არ არის. მაშინ
 არც ჩვენ შევცდებოდით და არც სხვას შევიყვანდით შეცდო-
 მაში რედ.

ვაბეზრებთ და მეორეც მიტომ, რომ საზოგადო ორგანიზაცი-
 ფურცლებს ვიკავებთ, რისი ნებაც არა გვაქვს, მაგრამ თუ
 ამას კიდევ ისიც დავმატა რომ ეს პოლემიკა ტყუილებზეა
 აშენებული, მაშინ კი აღარ იცის კაცმა რა უნდა ჰქნა, რა
 უნდა უწოდოს ამ საქციელს. გაჩუმდეთ... მაშინ ის საზოგა-
 დოება, რომელსაც აინტერესებს ეს კითხვა, მოტყუებული
 რჩება... გასცე პასუხი... „ჩიტი ბლდენათ არ ღირდა, დევნა
 მეტი იყოფო.“ ასე მოსდის სწორეთ ბ. ჭიათურის პლატფორ-
 მების გამნაწილებელ კომიტეტის წევრს ბ. ჟღენტს, რომელ-
 საც მისთანა შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება, რომელიც
 წარმოსადგენი არ არის. აი რას წერს იგი „კვალის“ 45 ნო-
 მერში: „თხოვთ ბ. მოდებამეს წაიკითხოს დროებითი წეს-
 დების მეშუთე მუხლი და იქიდან გაიგებს, გვქონდა ნება
 ზედ მეტის (პლატფორმების) დარიგებისა თუ არაო!“ გამოდის
 რომ ან არ წამკითხავს მე ეს მეშუთე მუხლი ან ვერ გამი-
 გია თუ რა წერია შიგ. მაგრამ დავარწმუნებთ ბ. კომი-
 ტეტის წევრს რომ წაკითხულიც მაქვს და როგორც ჩანს
 იმაზე უკეთაც გამიგია. აი რა სწერია მეშუთე მუხლში:

„Новымъ отправителямъ платформы отво-
 дятся длиною въ 4 саж., или числомъ саженей
 кратнымъ отъ 3 1/2 (длина вагона), т. е. 7, 10 1/2,
 но во всякомъ случаѣ не больше 10 1/2 саж.“


ამას დავუმატოთ კიდევ ის რომ ბ. თავმჯდომარემ კო-
 მიტეტისამ პირდაპირ მოგვმართა, როდესაც საბუთების გან-
 ხილვა გათავდა და პლატფორმების განაწილებაზე დადგა
 საქმე: „ბატონებო! მე არაფერი არ ვიცი, ვის რამდენი სა-
 ყენი ეკუთვნის და აი ახლა არის თქვენი დახმარება საქირო-
 ვო. თქვენ ერთი მეორის წარმოება კარგათ იცით და რო-
 გორც მეტყვიით ისე გავანაწილებთ პლატფორმებსო.“ ამის
 მოწმე იყვენ თვით ბ-ნი ჟღენტი და იაშვილი და მე გგონ-
 ნია დამეთანხმებიან ამ სიტყვების სიმართლეს. თუ არ და-
 მეთანხმებიან — ამასაც ადვილათ დავამტკიცებ ოფიციალურათ.
 ჩანს სხვანაირათ აღაფერხი არ გადის ამ ბატონებთან.

ჩვენ, მიუხედავთ ყოველივე ზემოხსენებულისა, 40 მთხო-
 ვნელში მხოლოდ 10 მივუზომეთ ხუთ-ხუთი საყენი, დანარ-
 ჩენებს კი სულ ოთხ-ოთხი, სხვალ მწარმოებლებს კი (წვრი-
 ლები სულ უპლატფორმონი იყვენ), რომლებსაც 50—120
 საყენამდი პლატფორმები აქვთ კიდევ მივუმატეთ 15—20—30
 საყენი. ეს სამართალია? კანონიერია ჩვენი მოქმედება? ჩვენ
 სხვილი მწარმოებლების წინააღმდეგნი კი არ ვართ, მაგრამ
 „ვისაც ჰქონდეს მიეცეს და მიემატოსო“ ამისი წინააღმდეგი
 კი ვართ. კიდევ ბევრი რამ მინდოდა მეთქვა, მაგრამ ვინც
 „წყლის პირას ქვიშას ვერ ხედავს“ იმათთან არ ღირს ლა-
 პარაკი. — მადლობა ღმერთს, ეს კითხვა ვისაც აინტერესებს,
 ყველამ იცის ვინ არის ჩვენ შორის მართალი.

ჭიათურა 6 ნოემბ. წვერი კომიტ. კ. მოდებამე.

II.

თქვენი გაზეთის 45 №-ში დაბეჭდილია წერილი გ.
 ბოკერიასი, რომელშიაც მას უნებებია ჩემ შესახებ საუბარიც
 ნება მიბოძეთ პასუხი გავცე ამ წერილს.
 ნუ თუ არ შეიძლებოდა „მეთვალყურისთვის“ გ. ბო-
 კერიას პასუხი ისე გავცა, რომ ჩემკენ ტალახის გუნდა არ
 ესროლა? საიდან მოგესიზმრათ, ბ-ნო ბოკერია, რომ მე სკო-
 ლა „კარგ შემოსავალს“ მაძლევს და ისიც მოსწავლე ქალე-
 ბისაგან? მიცნობთ მე თქვენ, გინახავთ როდისმე ჩემი სკოლა,
 გზათ გაგივლიათ? არ მესმის საიდან შეთხზეთ ჩემ შესახებ
 ყალბი ცნობები! მე და ჩემ სკოლას კარგა ხანია გვიცნობს



თფილისის

ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ქალაქის პირველ დაწესებით სასწავლებლებში გალობის მასწავლებელია საჭირო.

ვისაც ჭსურს ხსენებულ სასწავლებლებში გალობის მასწავლებლობა, თს უვენ, მიჭმართონ თფილისის ქალაქის გამგეობას.

(3-5)

ზესტაფონი (ხუთი წელიწადი მგონი საკმარისია!), ყოველ წლივ მას ათვლიერებს სახალხო სკოლების ინსპექტორიც, ყოველ წლის დამლევს სახ. სკ. დირექტორში ვაღვენ სრულ ანგარიშს, ამიტომ ტყვილათ გარჯილხართ და არა მკითხე რევიზორის მოვალეობა გიკისრიათ. მე მყავს 30—35 მოსწავლე ყმაწვილი; იმათ რიცხში ქალებიც არიან; თუ რასაც სწავლის გარდასახად ფულს ვიღებდი ან ვიღებ, იციან იმათმა მშობლებმა, შეუძლია იკითხოს და გაიგოს ან ჩემგან, ან ბავშვების მშობლებისგან ყველა სინდისიერმა კაცმა; ვისაც „სარფა“ და „შემოსავალი“ ელანდება, მადლობა დმერთს, ჯერ იმათ საკითხავთ არ გამხდომია საქმე.

თუ გინდ ბევრ შემოსავალსაც მაძლევდეს სკოლა, რა უფლება გაქვთ თავს მომახვიოთ, ასე უსაბუთოთ ისეთი უმსგავსოება, ვითომ მე მწყნოდეს დედათა სასწავლებლის გახსნა? როცა აქ დედათა სკოლა გაიხსნა, აღმოჩნდენ ისეთი მშობლებიც, რომელთაც არ უნდოდათ ჩემი სკოლიდან თავისი ქალების წაყვანა, მაგრამ მე პირიქით ვთხოვე გადაყვანათ თავისი შვილები დედათა სკოლაში. თქვენი კვი კაცობის დასამტკიცებლათ შემიძლია დავისახელოთ იმათი სახელი და გვარები.

არა ნაკლებ საკვირველია თქვენი აზრი ქმარ-შვილიან ქალების შესახებ; ვაი ჩვენი ბრალი, რომ ამავე წერილში სიტყვა „ემანსიპაციასაც“ ხმარობთ! გეტყობათ კარგათ გეხმით ეს სიტყვა! ნეტავი რას გაუმწარებინართ, ბ-ნო ბოკერიო, ასეთი უმსგავსოებანი რომ დავიწერიათ ჩემ შესახებ?

მარიამ ზაქარიას ასული ვაჩეჩილაძე

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მისი თანადანწრებით, 16 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა,

რომლითაც უნდა კაცებს იჯარით მუხრანის ქუჩის და რიყის შუა მომუშავე ქალაქის ბორანი.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლია განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მეოთხე განყოფილებაში, ყოველდღე, კვირა-უქმეებს გარდა, დღის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (3-3)

„კვალის“ და „ჯაჯილის“ ჩედაქციაში

იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემები:

თამარ დედოფლის სურათი 1 მ. 50 კ. (გასაგზ. 50 კ.)	
ალბომი „ბუნება სურათებში“ ედ. 1 მ. 20 კ. (გასაგზ. 20 კ.)	
ზატარა ლორდი	30 კ.
ჩვენი ძველი გმირები	30 კ.
თეთრი და ზანგი	15 კ.
სოფლიანი შეფე	10 კ.
ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა	10 კ.

გეორგი წერეთლის მოთხრობა
მცხეთის წინეთ
გამოვიდა ცალკე წიგნაკათ. ფასი 5 კაპ.

გამოვიდა და იხილვა

ახალი წიგნი

„ქართული პრესა“

წერილები ნოე ყორღანისა

გამ. ამხან. „ურომის“. ფასი 25 კაპ.

თხზულება გ. წერეთლისა.

ჩვენი ძველი გმირები

ფასი 30 კაპ.

იყიდება „კვალი“-ს რედაქციაში (არტილლერიის ქუჩა № 5) და წერა-კით. საზ. წიგნის მალაჩიაში. ქუთაისში მიტროფანე ლალიძესთან.